პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 მარტი კვირა 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 53 (15874)

[illegible]

მუ ხვალ დღევანდელზე უკეთ ვიმუშავებთ, გეგმებს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულებთ. აწყობილი და შეთანხმებული მუშაობა წლის პირველი დღეებიდანვე, ცვლის, თვისა და კვარტალის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება კანონი უნდა გახდეს ყოველი კოლექტივისათვის, თვითეული მუშაკისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

## შეჯიბრების დროშით

### ხუთწლედის მოწინავენი

ვალის რაიონის სოფელ მუხურის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი მეურნეობაა. ჩაის ფოთლის უხვ მოსავალთან ერთად (გასულ წელს სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებულზე 50 ტონით მეტი — 700 ტონა მიჰყიდეს) აქ სიმინდის, ყურძნის, აბრეშუმის პარკის, მანდარინისა და ხილის უხვ მოსავალსაც იღებენ.

ამ დღეებში მეურნეობის მშრომელებმა უკვე დაამთავრეს ჩაის პლანტაციებში მწკრივთაშორისი გაფხვიერება, შეიტანეს მინერალური სასუქების პირველი დოზა და ჩაის ბუჩქების საშუალო სხვლას შეუდგნენ. სურათზე: კოლმეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორი, კომუნისტი სლავა გასაშვილი, რომელმაც თავი ისახელა ბაღებისა და პლანტაციების დამუშავებაში.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



### გეგმა — ყველა მაჩვენებლით

თბილისი. ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას" (დირექტორი ა. რობაქიძე) კოლექტივმა ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს უფრო ორგანიზებულად გაშალა სოციალისტური შეჯიბრება და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. მეფეხსაცმელეებმა ნატურპროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა 109,3 პროცენტით შეასრულეს, სასაქონლო პროდუქციისა — 113,3 პროცენტით, რეალიზაციისა — 108,7 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ფაბრიკის კოლექტივი ემზადება კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ინიციატორად გამოვიდა № 1 სამკერვალო საამქროს კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ზ. ვარდანაშვილი ხელმძღვანელობს. ამ შრომითმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 20 აპრილისათვის 4 თვის გეგმა შეასრულოს. ამ თაოსნობას ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი.

გადაწყვიტეს შაბათობის დღეს იმუშაონ დამკვრელურად და გამოუშვან 1500 წყვილი ფეხსაცმელი, აქედან 600 წყვილი დაამზადონ დაზოგილი მასალით, გამომუშავებული ხელფასი 600 მანეთი გადარიცხონ ხელფასის ფონდში.

### დამკვრელური დღეები

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). შაბათობამდე დარჩენილ დღეებში დავზოგავ 800 კილოგრამ მასალას, 20 აპრილს გავანაღდებ თვის გეგმას და ამ დღეს ვიმუშავებ დანაზოგი მასალებით. ასეთი ვალდებულება იკისრა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მჭედელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პ. ივანოვმა.

მოწინავე მუშას ქარხანაში ბევრმა მიბაძა. მაგალითად, საინსტრუმენტო საამქროს ზეინკალმა ს. ხაჩიძემ გადაწყვიტა 20 აპრილს დღიური ნორმის გადამეტებით დაამზადოს ორი მაღალხარისხოვანი სამარჯვი. ასე გაჩაღდა შეჯიბრება ლენინური კომუნისტური შაბათობის შესახვედრად. ამ მზადებას სათავეში ჩაუდგა კომუნისტური შაბათობის მომწყობი შტაბი.

— შედგენილია კონკრეტული გეგმა, — თქვა საწარმოს პარტბიუროს მდივანმა ჯ. კვაჭანტირაძემ. — განაწილდა სამუშაო ადგილები, ყოველმა ბრიგადამ, უბანმა, საამქრომ იცის თავისი სამუშაო დავალება.

გადაწყვეტილი გვაქვს 20 აპრილს მასობრივად გამოვიდეთ სამუშაოდ, ვიშრომოთ დამკვრელურად, დაზოგილი მასალებით გამოვუშვათ 8.000 მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასი 1000 მანეთი გადავრიცხოთ ხუთწლედის ფონდში.

### ხუთგზის გამარჯვებული

წალენჯიხა. (საქ. კორ.). წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის კოლექტივმა გასული წლის შედეგებით გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, და შესაბამისი სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, საპატიო დიპლომი და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა.

ახლახან დაბა ჯვარში გაიმართა წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის მშრომელთა შეკრება. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დ. საბაშვილმა სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა გადასცა კომბინატის დირექტორს ნ. აფაქიძეს.

ტყემრეწვმეურნეობის მუშაკებს ეს გამარჯვება მიულოცა პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნაჭყებიამ.

ტყემრეწვმეურნეობის კოლექტივმა მაღალი ჯილდოს პასუხად ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

## ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ოქმს

1 მარტს მოსკოვში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მიწათმოქმედებისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ და გ. დიმიტროვის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიამ ხელი მოაწერეს სოფლის მეურნეობის დარგში 1974 წელს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ოქმს.

ხელმოწერილი ოქმით გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერთა და სპეციალისტთა გაცვლა, აგრეთვე მეცნიერული ინფორმაციებისა და ტექნიკური დოკუმენტაციების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშიანი თესლისა და სარგავი მასალის გაცვლა.

საბჭოთა კავშირის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა დ. ს. პოლიანსკიმ, ბულგარეთის მხრივ — მიწათმოქმედებისა და კვების მრეწველობის მინისტრმა განჩო კრისტევმა. (საკდესი).

## მეგობრობის მშენებლობა

ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა წარმომადგენლებმა მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას 750 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ.

საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრს პ. ს. ნეპოროჟნის რამდენიმე სიტყვა ეთქვა ამ მშენებლობის მნიშვნელობაზე.

— 750 კილოვოლტი ძაბვის ახალი ელექტროგადამცემი ხაზი დასაბამს მისცემს იმ მძლავრი რკალის შექმნას, რომელიც უნდა აშენდეს ევროპის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში, — თქვა პ. ს. ნეპოროჟნიმ — ეს მაგისტრალი დაიწყება საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში და უნგრეთის სოფელ ალბერტირშაში შეუერთდება არსებულ ენერგოსისტემას — „მშვიდობას".

ახალ ხაზს დიდი მნიშვნელობა ექნება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში ელექტროენერგიის ოპერატიული მიწოდების გაძლიერებისათვის.

მინისტრმა თქვა, რომ უკვე დაიწყო ახალი ხაზის დაპროექტება და ნაწილობრივი მშენებლობა. ამ ხაზს აშენებს ორი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი და უნგრეთი. ყველა სამუშაო განხორციელდება ერთიანი პროექტით საბჭოთა მოწყობილობის საფუძველზე. მაგისტრალი ექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ 1978 წელს.

## შრომითი წარმატებებისათვის

1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც მოიპოვეს მაღალი შრომითი მაჩვენებლები სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაწესდა ერთიანი საერთო-საკავშირო სამკერდე ნიშნები „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული" და „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელი".

27 თებერვალს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამკერდე ნიშნების „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის" და „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის" ნიმუშები და მათი დებულებანი.

## სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს




სამკერდე ნიშნით „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული" დაჯილდოვდებიან საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების საუკეთესო მუშები, კოლმეურნეები, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამშრომლები, რომლებიც მოიპოვებენ ყველაზე მაღალ შრომითს მაჩვენებლებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1974 წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სამკერდე ნიშნით დაჯილდოება მოხდება როგორც ერთი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით, ისე წლის განმავლობაში — წლიური დავალებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის.

სამკერდე ნიშნით „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული" ჯილდოვდებიან: საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები — სსრ კავშირის სამინისტროს, უწყებისა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით; საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები — მოკავშირე რესპუბლიკის სამინისტროს, უწყებისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ან, სადაც არ არის რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტი, პროფკავშირთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით (რუსეთის სფს რესპუბლიკაში — რუსეთის სფსრ სამინისტროს, უწყების და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით). საოლქო (სამხარეო) აღმასკომების დაქვემდებარებულ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც არ ექვემდებარებიან რომელიმე სამინისტროს, უწყებას, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაკები — საოლქო (სამხარეო) აღმასკომისა და პროფკავშირთა საოლქო, სამხარეო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.

„1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ადმინისტრაცია, პროფკავშირის კომიტეტი და კომკავშირის კომიტეტი. სიებს გზავნიან შესაბამის სამინისტროებში, უწყებებში, საოლქო (სამხარეო) აღმასკომებში. „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის" სამკერდე ნიშნის გადაცემა მოხდება მშრომელთა კრებებზე. სამკერდე ნიშანთან ერთად დაჯილდოებულს გადასცემენ დადგენილი ნიმუშის მოწმობას. „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის" სამკერდე ნიშანს ატარებენ მარჯვენა მხარეს ორდენის ქვემოთ. „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ პირთა შრომის წიგნაკში შეაქვთ შესაბამისი ჩანაწერი.

## მეცხრე ხუთწლედის დამკვრელებს




„მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების საუკეთესო მუშები, კოლმეურნეები, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამშრომლები, რომლებიც ყველაზე მაღალ შრომითს მაჩვენებლებს მოიპოვებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვადამდე შეასრულებენ ხუთწლედის დავალებებს.

„მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის" სამკერდე ნიშნით ჯილდოვდებიან: საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეები — სსრ კავშირის სამინისტროს, უწყებისა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით; რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები — მოკავშირე რესპუბლიკის სამინისტროს, უწყების და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით (რუსეთის სფს რესპუბლიკაში — რუსეთის სფსრ სამინისტროს, უწყების და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით); საოლქო (სამხარეო) აღმასკომებისადმი დაქვემდებარებულ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც არ ექვემდებარებიან რომელიმე სამინისტროს, უწყებას — საოლქო (სამხარეო) აღმასკომისა და პროფკავშირთა საოლქო, სამხარეო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.

„მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ადმინისტრაცია, პროფკავშირის კომიტეტი და კომკავშირის კომიტეტი. სიები იგზავნება შესაბამის სამინისტროებში, უწყებებში, საოლქო (სამხარეო) აღმასკომებში.

„მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის" სამკერდე ნიშნის გადაცემა მოხდება მშრომელთა კრებებზე. დაჯილდოებულს სამკერდე ნიშანთან ერთად გადასცემენ დადგენილი ნიმუშის მოწმობას და სამახსოვრო საჩუქარს. „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის" სამკერდე ნიშანს ატარებენ მარჯვენა მხარეს „სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის" სამკერდე ნიშნის ზევით. „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ პირთა შრომის წიგნაკში შეაქვთ შესაბამისი ჩანაწერი.

(საკდესი)

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში**

## რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში გაწეულია დიდი და მიზანდასახული მუშაობა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განვითარებისათვის; ისეთი საკითხები, როგორიც არის წარმოებაში მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის დანერგვა, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება, ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, სულ უფრო ფართო ასახვას პოულობს კოლექტიურ ხელშეკრულებებში, კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმებში, სოციალისტურ ვალდებულებებში, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამასთან ერთად, ნათქვამია დადგენილებაში, შრომის დისციპლინა, შრომისა და დასვენების რეჟიმი რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ შეესაბამება წარმოების ინდუსტრიული განვითარების დონეს, მისი ეფექტიანობის გადიდების ამოცანებს.

იმ მიზნით, რომ მშრომლები უფრო ფართოდ ჩავაბათ ბრძოლაში მოქმედი მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, მისი მოცდენის მკვეთრად შემცირებისათვის, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისა და მისი ყოველი ღონისძიებით შემჭიდროებისათვის, წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის დისციპლინის განუხრელი განმტკიცებისათვის, რაც შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია და „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს 1974 წლის 15 თებერვლიდან 15 აგვისტომდე მოაწყონ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერება.

დათვალიერების დროს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი ყურადღება და მეცადინეობა უნდა მოახმარონ სამუშაო დღის, თვითეული სამუშაო წუთის რაციონალურად გამოყენებას, მოცდენების ლიკვიდაციას, სამუშაო ადგილების ორგანიზაციის ტიპობრივი პროექტების, გამომუშავებისა და მოსახურების პროგრესული ნორმების ფართოდ დანერგვას, მასალებით, ინსტრუმენტებით მომუშავეთა დროულად უზრუნველყოფას, შრომის დადგენილი რეჟიმის დაცვას, წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ორგანიზაციის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულყოფას, მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და ალჭურვილობის უკეთ გამოყენებას, ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას, საწარმოო პროცესებისა და სამმართველო შრომის მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, მუშების მიერ მოწინავეთა გამოცდილების დაუფლებას, მომიჯნავე პროფესიების შეთავსებას.

დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მისი შედეგების შეჯამებისათვის შეიქმნა დათვალიერების რესპუბლიკური კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ი. ვადაჭკორიას მეთაურობით.

დათვალიერების უშუალო ორგანიზაციისა და ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის იქმნება საზოგადოებრივი კომისიები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებენ პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, სამშენებლო, ადგილობრივი კომიტეტები, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

დათვალიერების კომისიებს ქმნიან აგრეთვე საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, სამინისტროები და უწყებები პროფკავშირთა საოლქო საბჭოებთან და რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად. ისინი საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ დათვალიერების მსვლელობას მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

დათვალიერების გამარჯვებული იქნება იმ საწარმოს, ორგანიზაციის კოლექტივი, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების ძირითად და სხვა მაჩვენებელთა შესრულებასთან ერთად საუკეთესო შედეგებს მოიპოვებს კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ ისეთ ვალდებულებათა შესრულებაში, როგორიც არის შრომის დისციპლინის განმტკიცება, ზეგანაკვეთური სამუშაო საათების, ცვლისშიდა და მთელი დღის მოცდენების შემცირება, სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის გაუმჯობესება საღამოსა და ღამის ცვლებში. მოწინავე და კადრის მუშების შეფობა ახალგაზრდებისა და იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომითს დისციპლინას; კედლისა და მრავალტირაჟიანი პრესის, ელვა ფურცლების, პლაკატების ეფექტიანი გამოყენება შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის და სხვ.

დათვალიერების გამარჯვებული საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივები დაჯილდოვდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებით, აგრეთვე ფულადი პრემიებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობენ დათვალიერების დიდ მნიშვნელობას, და გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშაკი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და ღირსეულ წვლილს შეიტანს დათვალიერების მოწყობაში. (საქინფორმი).

## ყაზახურ ენაზე

ალმა-ათა. (საკდესი). გამომცემლობა „ყაზახსტანმა" მასობრივი ტირაჟით ყაზახურ ენაზე გამოუშვა წიგნი „ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტი კუბის რესპუბლიკაში".

კრებულში შევიდა ლ. ი. ბრეჟნევისა და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს სიტყვები, ინფორმაციები საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკების. კუბის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საუბრების შესახებ მოთავსებულია საბჭოთა კავშირ-კუბის დეკლარაცია, ცნობა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში". კუბის რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების შესახებ" და სხვა მასალები.

## ურთიერთობა მტკიცდება

საარბრიუკენი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), 2 მარტი. (საკდესი). 22 თებერვლიდან 2 მარტამდე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანელთა კომპარტიის მოწვევით იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. მ. სირაძის მეთაურობით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ გერმანელთა კომპარტიის საარის მხარის ორგანიზაციის საქმიანობას. გაიმართა შეხვედრა ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან, რომელზეც განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანელთა კომპარტიის ძმური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების საკითხები.

გერმანელთა კომპარტიის გამგეობის წევრმა, გერმანელთა კომპარტიის საარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გ. მერკელმა სტუმრებს უამბო, თუ როგორ იბრძვიან დასავლეთგერმანელი კომუნისტები მშრომელთა ძირეული ინტერესებისათვის, ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შეთანხმებათა რეალიზაციას, რომლებსაც 1973 წლის მაისში მიაღწიეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტის დროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ მასპინძლებს უამბო, თუ როგორ მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობა სსრ კავშირში, როგორ ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობაზე დასახული სამშვიდობო პროგრამა.

## ბრძანებულება




### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. აბაშიძეს სევდე ქესკუნის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.
2. ადეიშვილს ელენე გიორგის ასულს — კოლმეურნეს, ვანის რაიონი.
3. აჯაბოვას ზარიფე თეიმურის ასულს — მუშას, ქალაქი თბილისი.
4. ბაირამოვას ფაქიზარ მურსალ ყზის — ეგრისის საბჭოთა მეურნეობის მუშას, დმანისის რაიონი.
5. ბერიძეს ვესილე კედირის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონი.
6. ვიბლიანს გულო იაკობის ასულს — კოლმეურნეობა „ახალი აჭარის" მუშას, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონი.
7. გასანოვას ზაქია მაგარამ ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონი, სოფელ ყიზილაჯლო.
8. გუსეინოვას ზეინაბ გუსეინ ყზის — არაფლოს საბჭოთა მეურნეობის მუშას, მარნეულის რაიონი.
9. ქობალიას ვერა უშანგის ასულს — მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, მაიაკოვსკის რაიონი.
10. კურბატოვას საიათ მაგამედ ყზის — კიროვისის საბჭოთა მეურნეობის მუშას, დმანისის რაიონი.
11. მაგარამოვას სალატინ მუსა ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონი, სოფელი ყაჩილასი.
12. მამედოვას გულზარ სარდარ ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონი, სოფელი დუზაგრამა.
13. მარდალეიშვილს კატო გიორგის ასულს — ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, წყალტუბოს რაიონი.
14. ოსმანოვას ზადი გუმბათ ყზის — კიროვისის საბჭოთა მეურნეობის მუშას, დმანისის რაიონი.
15. ოთხოზორიას ეთერ ტერენტის ასულს — წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ჩხოროწყუს რაიონი.
16. ფაშაევას გიულგიზ მაჰმუდ ყზის — კოლმეურნეს, დმანისის რაიონი.
17. ხალიმოვას მუსა ყზის — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონი, სოფელი ყაზლარი.
18. ტამოიანს გეზალ ხაჩიკის ასულს — დიასახლისს, თელავის რაიონი, სოფელი ყურდღელაური.
19. ჩერპანოვას სიდათ იუნის ყზის — ირგანჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშას, დმანისის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გეორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1974 წ. 22 თებერვალი.



# ერთიან მწყობრში დიდი მიზნისაკენ

## საბჭოთა აფხაზეთი 53 წლისაა

ვ. კობახია,
საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

[illegible] ლებით გმირებზე, რომლებიც უბრალო ადამიანების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ ახალ, ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებანი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახდა. ეს ისტორიული ამბავი მოხდა 1921 წლის 4 მარტს, როცა სოხუმში აფრიალდა საბჭოების წითელი დროშა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ აფხაზეთის მშრომელები ახალ გზაზე — თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის გზაზე გაიყვანა.

აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელებმა ვ. ი. ლენინს 1921 წლის 10 მარტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: **„აფხაზეთის აჯანყებულ გლეხთა და მუშათა სახელით მხურვალე სალამს ვუგზავნით საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს... ახლა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ფრიალებს მშრომელთა წითელი დროშა“.**

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში სახელოვანი, შემოქმედებითი შრომით აღსავსე გზა განვლო. ჩვენი ცხოვრების რომელი დარგიც უნდა ავიღოთ, ყველგან ვხედავთ შთაგონებულ შრომის ნაყოფს ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციისას, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

ახლანდელი იუბილეს სწორედ წინა დღეებში აფხაზეთის ასს რესპუბლიკას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი. აფხაზი ხალხის, ჩვენი მხარის მშრომელთა ყველა მიღწევა შესაძლებელი გახდა დიდი რუსი ხალხის, მოძმე ქართველი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების მხრივ უანგარო მეგობრობისა და უდიდესი დახმარების პირობებში. ეს შესანიშნავი ორდენი ჩვენი ეპოქის სიმბოლოა, რომლითაც აისახა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი მონაპოვარნი, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ეკონომიური და კულტურული პროგრესი.

მჭიდრო ურღვევი კავშირი აერთიანებს ქართველ და აფხაზ ხალხებს. ჭაღარა ისტორიამ დალოცა მოძმე ხალხთა კავშირი, რომელიც მტკიცდებოდა გარეშე მტრებთან — დამმონებლებთან ბრძოლაში, იწრთობოდა მშვიდობიანი ცხოვრების მსვლელობაში, ეკონომიური და კულტურული კავშირის განმტკიცებაში.

აფხაზეთი მდიდარი, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული მხარეა. მაგრამ ყველა ეს სიმდიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ექსპლოატატორების ხელში იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა კავკასიის კომუნისტებს მიმართა თავისი ცნობილი წერილით, რომელშიც მოუწოდა მათ ყოველმხრივ გამოეყენებინათ ამ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, განევითარებინათ სამთო მრეწველობა, ენერგეტიკა, რწყვა. ლენინი რწმენას გამოთქვამდა, რომ კავკასიის მშრომელები შექმნიდნენ ეროვნული მშვიდობის ნიმუშს, რაც უმაგალითოა ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში.

ეს ლენინური მითითება კავკასიის მშრომელებმა, მათ შორის საქართველოს მშრომელებმა, აფხაზმა ხალხმა აღიქვეს როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა. მის განხორციელებას ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის ნახევრად კუსტარული მრეწველობა უშვებდა დაახლოებით 200 ათასი მანეთის პროდუქციას. 1973 წელს [illegible] უშვა 303.994 ათასი მანეთის პროდუქცია. აფხაზეთის მრეწველობას ახლა აქვს ისეთი დარგები, როგორიც არის ენერგეტიკა, სამთო-მომპოვებელი, მსუბუქი, კვების, ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური, სამშენებლო მასალების მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ავტონომიურ რესპუბლიკაში აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბევრი საწარმო, ტყვარჩელში, რომელიც ილიჩის ჩანაფიქრით აშენდა, ამჟამად მოქმედებენ მსხვილი შახტები, მძლავრი თბოელექტრო-სადგური, მთელი რიგი სხვა საწარმოები.

კვების მრეწველობის საფუძველს შეადგენს 14 თანამედროვე ჩაის ფაბრიკა, თამბაქოს საფერმენტაციო, საკონსერვო და სხვა ქარხნები. ასეა ყველა დარგი მრეწველობისა, რომელიც როგორც თავისი მოწყობილობით, ისე ტექნოლოგიით ჩვენი დიადი სამშობლოს მთელი მძლავრი ინდუსტრიის კვალდაკვალ მიდის. განვლილი სამი წლის მანძილზე მთელი რესპუბლიკის მრეწველობა შეუფერხებლად ვითარდებოდა, ასრულებდა როგორც პროდუქციის გამოშვების მოცულობისა და რეალიზაციის, ისე ნაკეთობათა ძირითადი სახეების წარმოების გეგმებს.

წარმოების გადიდების დარგში საერთო დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლების მიუხედავად, ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ჩვენს მრეწველობაში დაშვებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი. ამისათვის გააკრიტიკეს საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც 1973 წლის მარტში შედგა. საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნები გამოიტანა და შეიმუშავა, განახორციელა აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. მეტი ყურადღება დაეთმო მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებას სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მისი ლენინური პრინციპების განმტკიცებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დონის ამაღლებას.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებას. სამი წლის დავალებათა შესრულების შედეგების მიხედვით 1973 წელს მოვიპოვეთ თვალსაჩინო წარმატებები. წლიური გეგმა მრეწველობამ შეასრულა ვადამდე — რეალიზაციისა 13 დეკემბრისათვის, საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 18 დეკემბრისათვის. საერთოდ ხუთწლედის სამი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის ზევით გამოუშვა 36,7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმოების მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ დიდი გამარჯვება მოიპოვა მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებაში, რისთვისაც იგი დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით.

1973 წელი დაკავშირებულია დიდ წარმატებებთან სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში. აფხაზეთში მიღებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალი. მოიკრიფა და მიეყიდა სახელმწიფოს 56.043 ტონა, რაც საგეგმო დავალებაზე 5.139 ტონით მეტია, პროდუქციის საშუალო წლიურმა მატებამ 1970 წელთან შედარებით შეადგინა 15,5 პროცენტი, რაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულზე 6,5 პროცენტით მეტია. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ციტრუსოვან ნაყოფთა მიყიდვის გეგმა. 1973 წელს დამზადდა 8.900 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც საგეგმო დავალებას 3.300 ტონით აღემატება.

წლითიწლობით იზრდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა. 1973 წელი შესანიშნავია იმით, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირველად შეძლეს შეესრულებინათ საშუალოდ ერთ ძროხაზე ნაწველის მიღების დავალება. მიღწეულია გარკვეული წარმატებანი საქვების წარმოებასა და დამზადებაში. მიწათმოქმედებას და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში 1971-1973 წლებში მიღწეული წარმატებებისათვის აფხაზეთის სოფლის მეურნეობის 754 მოწინავე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით; მეჩაიეებს მარიამ არძინბას, ცაცა ქარდავას და ალექსანდრა ვოუბას მიეკუთვნათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. 1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის აფხაზეთი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით.

მნიშვნელოვანი წარმატებები ახასიათებს ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობას აფხაზეთში. ფორმით ეროვნულნი, შინაარსით სოციალისტურნი, ისინი ეწევიან დიდ იდეოლოგიურ მუშაობას და გავლენას ახდენენ კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობაზე.

ხუთწლედის დავალებათა, ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის შედეგია საბჭოთა ადამიანების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა. მაგრამ ყველა ეს და სხვა წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო სერიოზული დამახინჯებანი და ნაკლოვანებანი, რომლებიც წინათ დაშვებულ იქნა რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობაში. ამჟამად აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, წარმოებს დიდი ორგანიზატორული, პოლიტიკური მუშაობა ცხოვრების ყველა დარგში წესრიგის დასამყარებლად. ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელნი მხურვალედ იწონებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ კურსის განხორციელებას, აქტიურად მონაწილეობენ ყველა ღონისძიებაში, რომლებიც ხორციელდება, ამაღლებენ თავიანთ შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას. რესპუბლიკის მთელი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე უდიდეს პრაქტიკულ ზეგავლენას ახდენს კადრების პოლიტიკის დარგში ლენინის მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

მაგრამ წლების განმავლობაში სახალხო მეურნეობის ზოგიერთ უბანზე მდგომარეობა იმდენად თავმინებებული აღმოჩნდა, რომ გასულ წელს მისი გამოსწორება ვერ მოხერხდა. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენას აფხაზეთში, ამჟამად ამ პრობლემის გადაწყვეტისადმი მიპყრობილია საოლქო პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება.

როგორც საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ამას წინათ გამართულ XXXII კონფერენციაზე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის ეკონომიურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებანი მოხდა. [illegible] მოთხოვნებისა და პრინციპების განხორციელებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. მას ახასიათებს პარტიის საოლქო კომიტეტისა და მისი ბიუროს როლის, ყველა პარტიული კომიტეტისა და პირველადი პარტორგანიზაციების აქტივობის შემდგომი ამაღლება. ეს იმის საწინდარია, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობა, რესპუბლიკაში დამყარებული პოლიტიკური კლიმატი დიდ ზეგავლენას მოახდენს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის, მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალებათა შემდგომ შესრულებაზე. სამგზის ორდენოსანი აფხაზეთის მშრომელები, ისევე როგორც ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ღირსეულად შეასრულებენ ამ ამოცანას, ბოლომდე მიიყვანენ საქმეს, რომელიც ოქტომბრის ლეგენდარულ დღეებში ლენინის ხელმძღვანელობით დაიწყო.

ეხმაურებიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, დადგენილებებს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, ისინი კიდევ უფრო მაღლა ასწევენ შრომითი მეტოქეობის დროშას, გაამდიდრებენ მას ახალი შინაარსით, მთელ ენერგიას, თავიანთ ნიჭს მოახმარენ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას. კვლავაც წმიდად დავიცავთ და განვამტკიცებთ საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობასა და ძმობას, კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი წარმატებების ამ მძლავრ წყაროს, წარმატებებისა, რომელთა მოპოვებას შთაგვაგონებს დიდი ლენინის მიერ გამოწრთობილი მშობლიური პარტია.

---

# მსოფლიო დღეს

## ამბები • ფაქტები • პრობლემები

საქდესის და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

## ა. ა. გრომიკო კაიროში

**კაირო, 1 მარტი. (საქდესი). დღეს კაიროში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ფაჰმის მოლაპარაკება.**

**საუბრების დროს, რომლებიც საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს, გაიმართა აზრთა გაზიარება მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხს.**

## ვიზიტი დამთავრდა

**კუვეიტი,** 1 მარტი. (საქდესი). **კუვეიტში დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის მეთაურობით.**

კუვეიტის ეროვნული კრების თავმჯდომარე ჰალედ ალ-გუნეიმ საბჭოთა დელეგაციის გაფრენის წინ აეროპორტში განაცხადა, რომ ვიზიტმა ხელი შეუწყო ორი ქვეყნის ურთიერთობების შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას, ახალი შესაძლებლობანი შექმნა მათი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საპასუხო სიტყვაში მ. პ. გიორგაძემ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპებით, არაბ ხალხებს უწევდა და კვლავაც გაუწევს მხარდაჭერას ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების აღდგენისათვის მათს სამართლიან ბრძოლაში. მან მადლობა გადაიხადა კუვეიტში საბჭოთა დელეგაციის გულთბილი მიღებისათვის.

## ინგლისი: არჩევნების შედეგები

**ლონდონი, 2 მარტი. (საქდესი). დღეს დილით გამოაცხადეს ინგლისის პარლამენტის ვადამდელი არჩევნების 635 საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრის შედეგები. ლეიბორისტულმა პარტიამ თემთა პალატაში მიიღო 301 ადგილი, კონსერვატორებმა — 296, ლიბერალებმა — 14 და სხვა პარტიებმა — 23 ადგილი.**

ამრიგად, კონსერვატორთა მთავრობამ დაკარგა უმრავლესობა პარლამენტში. მაგრამ ვერც ლეიბორისტულმა პარტიამ ვერ მოიპოვა აბსოლუტური უმრავლესობა თემთა პალატაში.

ამის შედეგად შეიქმნა მდგომარეობა, როგორიც ინგლისის ისტორიაში არ ყოფილა მრავალი ათწლეულის მანძილზე. არც ერთ პარტიას არ შეუძლია შექმნას მყარი ერთპარტიული მთავრობა.

გუშინ ე. ჰიტმა დაუნინგ-სტრიტზე გამართა კაბინეტის საგანგებო სხდომა კონსერვატიული პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მონაწილეობით. შემდეგ პრემიერ-მინისტრი ეწვია ინგლისის დედოფალს.

როგორც რადიოსადგური ბი-ბი-სი გადმოსცემს, ე. ჰიტს არ გამოუცხადებია კონსერვატორთა გადადგომა და ამცნო დედოფალს თავისი განზრახვა დარჩეს მთავრობის მეთაურად.

გუშინ საღამოსვე გაიმართა „საჩრდილო კაბინეტის“ სხდომა, რომლის შემდეგ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ლეიბორისტები მზად არიან შექმნან მთავრობა. გაზეთ „დეილი მირორისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ლეიბორისტთა ლიდერმა ჰ. ვილსონმა თქვა, თუ პრემიერ-მინისტრი გახდი, „არ დავთანხმდებიო რაიმე მორიგებას ლიბერალებთან ან რომელიმე სხვა პარტიასთან“.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს, რომ დაუყოვნებლივ გადადგეს კონსერვატორთა მთავრობა და შეიქმნას ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც „ხალხის მასების ზეგავლენით განახორციელებს კრიზისთან საბრძოლველად საჭირო პოლიტიკას“.

## კისინჯერი დამასკოში ჩავიდა

დამასკო, 1 მარტი. (საქდესი). დღეს სირიაში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი. უფრო ადრე იგი იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკასა და ისრაელში.



ლონდონი ინგლისი

**ინგლისი. მუშათა კლასი სულ უფრო შეუპოვრად იბრძვის თავისი სასიცოცხლო ინტერესების, პროფკავშირული და დემოკრატიული უფლებების დასაცავად. ლონდონში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყეს ადგილობრივმა პროფკავშირებმა. დემონსტრანტები ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ მშენებელთა პროფკავშირის სამი აქტივისტის განთავისუფლებას, რომლებიც გაასამართლეს ქალაქ შრუსბერიში და მიუსაჯეს ხანგრძლივი პატიმრობა მშენებელთა საყოველთაო გაფიცვაში მონაწილეობისათვის.**

**სურათზე: მასობრივი დემონსტრაციის მონაწილენი ლონდონის ქუჩებში.**

საქდესის ფოტო.

*თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!*

## კორვალანის დასაცავად

**ნიუ-იორკი.** 2 მარტი. (საქდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ აპირებენ გაუსწორდნენ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, სენატორ ლუის კორვალანსა და სახალხო ერთიანობის მთავრობის სხვა მოღვაწეებს.** დეპეშაში, რომელიც კომისიამ გაუგზავნა ჩილეს სამხედრო ხუნტას, ხაზგასმულია, რომ ამ მოღვაწეთა სიცოცხლე საფრთხეშია.

კომისიამ მოუწოდა ჩილეს სამხედრო ხელისუფლებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ადამიანის უფლებათა დარღვევები, რომლებიც უკვე სისტემატური და აღმაშფოთებელი ხასიათისაა. ეს დარღვევები, აღნიშნულია დეპეშაში, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების პრინციპებსა და საერთაშორისო პაქტებისა და კონვენციების დებულებებს.

## კანონპროექტი მოიწონეს

**ნიუ-იორკი.** 2 მარტი. (საქდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების სენატის იურიდიულმა კომისიამ ოთხშაბათს მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიღებას დაბეჯითებით მოითხოვს პრეზიდენტი ნიქსონი. კანონპროექტი ითვალისწინებს გარკვეულ გარემოებაში სიკვდილით დასჯის აღდგენას.**

სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოიყენონ ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორიცაა სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, მკვლელობა, აგრეთვე ადამიანთა მოტაცება და საჰაერო მეკობრეობა, რასაც მსხვერპლი მოჰყვება.

კანონპროექტის მიზანია გადასინჯონ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1972 წელს მიღებული ის გადაწყვეტილება, რომ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება ფედერალური კანონებისა და შტატების მეტი წილი კანონების საფუძველზე მიჩნეულია ანტიკონსტიტუციურ ღონისძიებად.

## წინააღმდეგობა იზრდება

**ნიუ-იორკი.** 2 მარტი. (საქდესი). **ჩილეში ძლიერდება წინააღმდეგობა სამხედრო ხუნტის რეჟიმისადმი. საინფორმაციო სააგენტოები სანტიაგოდან იუწყებიან, რომ გუშინ განთიადზე ჩილეს დედაქალაქში ატყდა სროლა ხუნტის სამხედრო ნაწილებსა და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა ჯგუფს შორის.** ვერტმფრინავების დახმარებით ჯარებმა ალყა შემოარტყეს და იერიშის შედეგად აიღეს შენობა, სადაც, როგორც სააგენტოები იუწყებიან, თავს იცავდნენ სამხედრო რეჟიმის მოწინააღმდეგენი. დააპატიმრეს 15 კაცი. ცნობებში არაფერია ნათქვამი, იყო თუ არა მსხვერპლი.

## ძებნას განაგრძობენ

ნიუ-იორკი. 2 მარტი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ განკარგულება გასცა განაგრძონ ამერიკელი მოყვარული ჰაერნაოსნის თომას გატჩის ძებნა, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა, როცა აეროსტატით მიფრინავდა ატლანტის ოკეანეში.

18 თებერვალს გატჩი, რომელმაც მიზნად დაისახა პირველად ისტორიაში გადაელახა ატლანტის ოკეანე აეროსტატით, გაფრინდა ქალაქ ჰარისბერგიდან (პენსილვანიის შტატი). უკანასკნელად ეს მამაცი ადამიანი ნახეს 21 თებერვალს. მისი აეროსტატი შეამჩნია ლიბერიის სავაჭრო გემის ეკიპაჟმა. იმ მომენტში ჰაერის დინება გატჩს მიაქროლებდა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ნაპირებისაკენ. მალე რადიოკავშირი მოგზაურთან შეწყდა.

26 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების გემებმა და თვითმფრინავებმა, რომლებიც ატლანტის ოკეანის ცენტრალურ ნაწილში იმყოფებოდნენ, მიიღეს განკარგულება დაეწყოთ გატჩის ძებნა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს.

ახალი განკარგულება ითვალისწინებს მოგზაურის უფრო ინტენსიურ ძებნას, რომელსაც მოაწყობენ დაახლოებით 100 ათას კვადრატულ მილზე იმ რაიონში, რომელიც განლაგებულია დაახლოებით 1.200 მილზე აზორის კუნძულების სამხრეთ-დასავლეთით.




მოკალათდნენ...

ი. ქოქიაშვილის ნახატი.

## საფრთხეს უქმნიან მშვიდობას

**დელი, ინდოეთში ძლიერდება საპროტესტო კამპანია ინდოეთის ოკეანეში დიეგო-გარსიას კუნძულზე ამერიკის შეერთებული შტატების დიდი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზის შექმნის წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ იუწყება, ფენჯაბის შტატის საკანონმდებლო კრების 60-ზე მეტმა დეპუტატმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობენ დასავლეთის სახელმწიფოთა გაძლიერებულ საომარ მზადებას ინდოეთის ოკეანეში.**

**გაზეთი „პეტრიოტი“ თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ინგლის-ამერიკის შეთანხმება დიეგო-გარსიას შესახებ „უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას ინდოეთის ოკეანის მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონად გადაქცევის შესახებ“.**

**დაკა.** ჩვენ არავის მივცემთ უფლებას ეთამაშოს ცეცხლს, რომელმაც შეიძლება მოგვსპოს. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ შექმნან სამხედრო ბაზა ინდოეთის ოკეანეში დიეგო-გარსიას კუნძულზე, წერს დღეს მოწინავე სტატიაში მთავრობის გაზეთი „მორნინგ ნიუსი“. ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებმა საკმაოდ ერთსულოვნად და გადაჭრით განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ ამ ბაზის შექმნას.

ჩვენი აზრით, ხაზს უსვამს „მორნინგ ნიუსი“, ახალი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო საჰაერო ბაზის მშენებლობა არსებითად გამალებული შეიარაღების განგრძობაა მსოფლიოს ამ რაიონში.

**კოლომბო.** „გადაწყვეტილება დიეგო-გარსიას კუნძულზე ამერიკის სამხედრო ბაზის მშენებლობის შესახებ უშუალო საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს დედამიწაზე. ასეთი გეგმები მოწმობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მისწრაფებას — ლახვარი ჩასცენ შრი ლანკის მთავრობის წინადადებას ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევის შესახებ“, — წერს ყოველკვირეული „მავბიმა“, რომელიც აქ გამოდის.

**ჯაკარტა. დიეგო-გარსიას კუნძულის ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სამხედრო ბაზად გადაქცევასთან დაკავშირებული გეგმების გამო უსიამოვნო კითხვები და სათაკილო ეპითეტები სეტყვასავით დააყარეს შეერთებული შტატების ახალ ელჩს ჯაკარტაში დ. ნიუსომს, რომელსაც თავისი პირველი საოქმო ვიზიტი ჰქონდა ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. (საქდესი).**

---

## უცხოური მოზაიკა

### წაკითხულია 1900 წლის შემდეგ

**200 წლის წინათ ქალაქ პომპეის არქეოლოგიური გათხრების დროს, რომლის არსებობა ვეზუვის ამოფრქვევამ შეწყვიტა 79 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, აღმოაჩინეს მდიდარი და ფრიად განათლებული რომაელის კალპურნიუს პისოს ვილა. უმნიშვნელოვანესი ნაპოვნი იყო პაპირუსები. მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის 1700 წლის განმავლობაში ლავის ფენის ქვეშ ყოფნის შედეგად ისინი ძლიერ დაზიანდნენ და დანახშირდნენ. მხოლოდ ახლახან ავსტრიელმა მეცნიერმა ა. ფეკელმანმა გამოიგონა დაზარალებული პაპირუსების „წაკითხვის მეთოდი“. მათი გაშიფვრა საშუალებას მისცემს მეცნიერებს მიიღონ ახალი ცნობები ძველი რომის შესახებ.**

### სახანძრო რაზმში... მხოლოდ ქალები

**კუკ კანტრის თემში (ტეხასი, აშშ) არ აღმოჩნდნენ მეხანძრედ მუშაობის მსურველი მამაკაცები, მაშინ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ქალებმა. ახლა თემის სახანძრო რაზმი შედგება „სუსტი სქესის“ 25 წარმომადგენლისაგან. რაზმის ხელმძღვანელია 67 წლის ვერნი განტერი, ხოლო ყველაზე ნორჩი წევრი — მისი შვილიშვილი კერენი, რომელსაც ახლახან 16 წელი შეუსრულდა.**

### იყიდება... ქალაქი

**— „ოქროს ციებ-ცხელების ეპოქაში შექმნილი ქალაქი ალიასკაზე კანტუელი... იყიდება. მისი გაკოტრებული მფლობელი ვინმე ჰერმან კოტერი, რომელიც ქალაქს იაფად — 750 ათას დოლარად ჰყიდის, ასეთ რეკლამას უკეთებს თავის საკუთრებას: კანტუელში არის კოტეჯები, რესტორანი, ორი ბენზინის ჩასასხმელი წერტი, 200-ადგილიანი მოტელი. ერთადერთი, რაც არ იყიდება, ეს არის საფოსტო კანტორა და რკინიგზის ხაზი, რომელიც ქალაქში გადის. ისინი სახელმწიფოს ეკუთვნიან. ვინაიდან ფოსტა და გზა ეკონომიურად ვერ ამართლებენ დანიშნულებას, არ არის გამორიცხული, რომ სახელმწიფო კოტერის მაგალითს მიბაძავს.**

### დაზოგა...

**ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკური ავიაციის მეთაურთა შტაბიდან გენერალი ალენი პენტაგონში თათბირზე ვერტმფრინავით ჩავიდა. შტაბ-ბინიდან პოტომაკის ნაპირზე მდებარე ხუთკუთხოვან შენობამდე მხოლოდ 16 კილომეტრია მაგრამ, როგორც ამერიკული გაზეთები აღნიშნავენ, გენერალმა, რომელმაც უარი თქვა ჩვეულებრივ ავტომობილზე, დაზოგა 15 წუთი და დახარჯა 200 ლიტრი ბენზინი, ნაცვლად 2-3 ლიტრისა. მაგრამ ასეთი სიჩქარე ნამდვილად რომ ღირდა — თათბირი პენტაგონში მიძღვნილი იყო ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით საწვავის ეკონომიის გეგმის შემუშავებისადმი.**

---

# ბ. გ. გიგიბერიას დაკრძალვა

**შაბათს,** 2 მარტს დაკრძალეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბორის გერასიმეს-ძე გიგიბერია.

დღის 12 საათიდან თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლში, სადაც ესვენა ბ. გ. გიგიბერია, განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ თბილისის მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, რათა გამოსთხოვებოდნენ თვალსაჩინო პარტიულ მუშაკს.

... ოფიცერთა სახლის დარბაზი თალხებშია. ისმის სამგლოვიარო მელოდიები. საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, ბ. გ. გიგიბერიას დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, მეცნიერები.

უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი, რათა გამოეთხოვონ ბ. გ. გიგიბერიას და გვირგვინები და ყვავილები მიიტანონ მის კუბოსთან.

დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. საპატიო ყარაულში დგებიან პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, პ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. ნ. სეიდოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბ. გალუმიანი.

შეწყდა სამგლოვიარო მელოდია. დარბაზში რჩებიან განსვენებულის ნათესავები და ახლობლები.

კვარცხლბეკიდან ფრთხილად გადმოასვენეს ბ. გ. გიგიბერიას კუბო.

სამგლოვიარო პროცესია ნელა მიემართება რუსთაველის პროსპექტით საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონისაკენ.

აქ გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მიტინგი გახსნა ბ. გ. გიგიბერიას დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. პატარიძემ.

რესპუბლიკის ყველა კომუნისტი, მშრომელი დიდი მწუხარებით ეთხოვება დღეს ადამიანს, რომელსაც მგზნებარედ უყვარდა თავისი ხალხი, თავს არ ზოგავდა საქმისათვის, შესანიშნავ ორგანიზატორს, თვალსაჩინო პარტიულ მუშაკს, — თქვა ზ. ა. პატარიძემ. გზა, რომელიც ბ. გ. გიგიბერიამ განვლო რიგითი ზოოტექნიკოსიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნამდე, მის დიდ ნიჭსა და უნარს მოწმობს. მასში განსახიერებული იყო პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებები, დაუცხრომელი ენერგია, დიდი შრომისმოყვარეობა და საფუძვლიანი ცოდნა, პრინციპული, გაბედული შემოქმედებითი მიდგომა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების საკვანძო საკითხების გადაწყვეტისადმი.

რა პოსტზეც კი უმუშავია ბ. გ. გიგიბერიას, იგი ყოველთვის აღაფრთოვანებდა სხვებს მუშაობისათვის. ის იყო კრისტალურად წმინდა, უკომპრომისოდ მტკიცე და შეურიგებელი, როცა საქმე ეხებოდა პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების დარღვევებს. ბ. გ. გიგიბერიამ დაიმსახურა დიდი ავტორიტეტი ამხანაგებსა და კოლეგებს შორის, რესპუბლიკის მშრომელების, მთელი პარტიული ორგანიზაციის სიყვარული და პატივისცემა.

...ჩვენგან წავიდა დიდსულოვანი ადამიანი, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი. მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის დარჩება ჩვენს გულში.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ს. ქობულიამ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ო. კობახიამ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰ. ნ. სეიდოვმა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბ. გალუმიანმა, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ქ. ა. გოგიტიძემ, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ი. ლოლაძემ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ვ. ი. მეტრეველმა.

ბორის გერასიმეს-ძე გიგიბერიას უდროოდ გარდაცვალების გამო ქვეყნის ბევრი ქალაქიდან და საქართველოს რაიონებიდან, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეებისაგან მოვიდა უამრავი დეპეშა, რომლებიც მიტინგზე წაიკითხა დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ზ. გ. ახვლედიანმა.

მიტინგი დამთავრდა. ბორის გერასიმეს-ძე გიგიბერიას გამოეთხოვნენ ნათესავები, ახლობლები და მეგობრები.

განსვენებულის კუბო სამარეში ჩაუშვეს. საფლავი ყვავილებმა დაფარეს. (საქინფორმი).

## პირველი სახალხო მასწავლებელი

„რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანო სამშობლოს — აი ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი“ — დიდი რუსი დემოკრატი პედაგოგის კ. დ. უშინსკის ეს სიტყვები გამოხატავს მისი განმანათლებლური და მეცნიერული საქმიანობის აზრს. რუსეთის პირველი სახალხო მასწავლებლის იდეები და შრომები სამუდამოდ შევიდა რუსული კულტურის ისტორიაში, ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების მეცნიერების ოქროს ფონდში.

სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა დიდი პედაგოგის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. აქ შეიკრიბნენ სახალხო განათლების მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დარბაზში იყვნენ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების პედაგოგთა და მეცნიერთა დელეგაციები.

კრება გახსნა სსრ კავშირის განათლების მინისტრმა მ. ა. პროკოფიევმა. მოხსენება „კ. დ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება და თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერება“ გააკეთა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ნ. სტოლეტოვმა. (საქდესის კორ.).

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების 21-ე მუხლის შესაბამისად აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც წამოყენებული არიან აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების მიერ გაზეთ „კომუნისტში" 1973 წლის 22 დეკემბერს გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე:

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატები

### მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

#### ფიზიკა

**მირიანაშვილი** მათე მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ხუციშვილი** გივი რაჟდენის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

#### ბირთვული ფიზიკა

**თავხელიძე** ალბერტ ნიკიფორეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

#### გეოფიზიკა

**ბალავაძე** ბენედიქტე კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ნოდია** მიხეილ ზოსიმეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

#### კიბერნეტიკა

**გაბაშვილი** ნიკოლოზ ვასილის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ჭავჭანიძე** ვლადიმერ ვალერიანის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

#### არაორგანული ქიმია და ტექნოლოგია

**ლანდია** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ქუთათელაძე** კალისტრატე სევერიანის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

#### ორგანული ქიმია და ტექნოლოგია

**გვერდწითელი** ილია მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**მელიქაძე** ლეონიდე დავითის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**სალდაძე** კირილე მაქსიმეს-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### ბიოლოგიის განყოფილება

#### ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია

**ბაკურაძე** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**გედევანიშვილი** დიმიტრი მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ნარიკაშვილი** სერგი პავლეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ოკუჯავა** ვაჟა მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

#### ექსპერიმენტული მედიცინა

**ფალავა** ირაკლი ყარამანის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ლუდუშაური** ოთარ ნასყიდას-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჩაჩავა** მიხეილ კონსტანტინეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჯავახიშვილი** ნინო ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### ენისა და ლიტერატურის განყოფილება

#### ენათმეცნიერება (ქართული ენა)

**ძიძიგური** შოთა ვარლამის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

#### ზოგადი ენათმეცნიერება

**გამყრელიძე** თამაზ ვალერიანის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

#### ხელოვნებათმცოდნეობა

**ბერიძე** ვახტანგ ვუკოლის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

#### ფსიქოლოგია

**ფრანგიშვილი** ალექსანდრე სევერიანის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

#### ეკონომიკა

**გუგუშვილი** პაატა ბესარიონის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ჩარკვიანი** კანდიდ ნესტორის-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები

### მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

#### მათემატიკა

**ბერიკაშვილი** ნოდარ ალექსის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**გეგელია** თენგიზ გიორგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ვახანია** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კალანდია** აპოლონ იოსების-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კვესელავა** დავით ალექსანდრეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მანია** გვანჯი მიხეილის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მანჯავიძე** გიორგი თერაფონტეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჟიჟიაშვილი** ლევან ვლადიმერის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჯვარშეიშვილი** აკაკი გიორგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ფიზიკა

**ვაშაკიძე** ივანე შალვას-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კოპალეიშვილი** თეიმურაზ ისაკის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**მირცხულავა** იონა ანდრიას-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**როინიშვილი** ნინო ნიკოლოზის ასული — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**სანაძე** თენგიზ ივანეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სანაძე** ვლადიმერ ვლადიმერის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ცინცაძე** ნოდარ ლევანის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

#### გეოლოგია

**რუბინშტეინი** მარკ მიხეილის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სხირტლაძე** ნიკოლოზ ივანეს-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ხიმშიაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

#### სამთო მექანიკა

**ბარამიძე** კონსტანტინე მოსეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მინდელი** ელიზბარ ონისიმეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### სამშენებლო მექანიკა

**ნაფეტვარიძე** შიო გერმანეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სეხნიაშვილი** ემილ ალექსის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ავტომატური მართვა

**ბეხიაშვილი** შოთა ლეონტის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლუტიძე** შოთა ივანეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჩიჩინაძე** ვახტანგ კონსტანტინეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ხარატიშვილი** გურამ ლევანის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ატმოსფეროს ფიზიკა

**ბუხნიკაშვილი** ალექსანდრე ვარდენის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გუნია** სერგი უშანგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**პაპინაშვილი** კონსტანტინე იოსების-ძე — გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სულაქველიძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე — გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ცუცქირიძე** იასონ ალექსის-ძე — გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ხანთაძე** არჩილ გიორგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### მანქანათმცოდნეობა

**ლოლაძე** თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ხვინგია** მიხეილ ვლადიმერის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

#### ქიმია

**ანდრონიკაშვილი** თეიმურაზ გიორგის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

**გველესიანი** გურამ გიორგის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გოგორიშვილი** პლატონ ვლადიმერის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ზვიადაძე** გივი ნიკოლოზის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლაღიძე** რამაზ მიტროფანეს-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მეძველიშვილი (მეძვილოვ)-პეტროსიანი** ოთარ პეტრეს-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ნანობაშვილი** ელენე მიხეილის ასული — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ნოღაიდელი** ალექსანდრე იზეთის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ფირცხალავა** ნოე იოსების-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ცინცაძე** გივი ვასილის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ცისკარიშვილი** პეტრე დიმიტრის-ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჯაფარიძე** კობა გიორგის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### ბიოლოგიის განყოფილება

#### ბოტანიკა

**თუმაჯანოვი** ივანე ილიას-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კაპანაძე** იოსებ სპირიდონის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**კემულარია-ნათაძე** ლუბა მანუჩარის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

#### ზოოლოგია

**თუმანიშვილი** გრიგოლ დიმიტრის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ყანჩაველი** გიორგი იოსების-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ყურაშვილი** ბორის ეპიფანეს-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### ენისა და ლიტერატურის განყოფილება

#### ზოგადი ენათმეცნიერება

**შარაძენიძე** თინათინ სიმონის ასული — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### აღმოსავლეთმცოდნეობა (სემიტოლოგია)

**წერეთელი** კონსტანტინე გრიგოლის-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ფილოლოგია

**გამეზარდაშვილი** დავით მინას-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**დუდუჩავა** მამია იოსების-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ვირსალაძე** ელენე ბაგრატის ასული — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**იმედაშვილი** გაიოზ იოსების-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

**იმნაიშვილი** ივანე ბესარიონის-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კობიძე** დავით ივანეს-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მეტრეველი** ელენე პავლეს ასული — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სიხარულიძე** ქსენია ალექსის ასული — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ურუშაძე** აკაკი ვლადიმერის-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ღლონტი** ალექსანდრე ანდრიას-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ყაუხჩიშვილი** თინათინ სიმონის ასული — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ციციშვილი** გიორგი შალვას-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჭილაია** სერგი ესტატეს-ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

#### ეკონომიკა

**გველესიანი** გიორგი გრიგოლის-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გოკიელი** არჩილ პეტრეს-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მელქაძე** ვალერიან ირაკლის-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი.

**ტყეშელაშვილი** ნიკოლოზ მათეს-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ფანცხავა** არჩილ იაკობის-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჩანტლაძე** ვასილ გიორგის-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჭანუყვაძე** გივი დავითის-ძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ისტორია

**ანთელავა** ირაკლი გიორგის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გაბაშვილი** ვალერიან ნიკოლოზის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გეგეშიძე** მიხეილ კირილეს-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კაჭარავა** იური მიხეილის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კიკვიძე** აბელ იასონის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლორთქიფანიძე** მარიამ დავითის ასული — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლორთქიფანიძე** ოთარ დავითის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**რატიანი** პროკოფი კონსტანტინეს-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**რობაქიძე** ალექსი ივანეს-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სურგულაძე** აკაკი ნესტორის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ძიძარია** გიორგი ალექსის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჯაფარიძე** ოთარ მიხეილის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### სსკპ ისტორია

**ბრეგაძე** გრიგოლ ვასილის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გორგილაძე** ლეონიდე ერემიას-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ესაიაშვილი** ვარლამ გიორგის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მახარაძე** ნიკოლოზ ბარნაბის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

**მირცხულავა** ილია იორდანეს-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჟვანია** გრიგოლ კონდრატეს-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ხტურუა** ნიკოლოზ ივანეს-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ფირცხალავა** გერასიმე სამსონის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ცერცვაძე** მიხეილ ვასილის-ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ფილოსოფია

**ავალიანი** სერგი შალვას-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ბაკურაძე** ოთარ მიხეილის-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ბეგიაშვილი** არჩილ თედორეს-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

**გაგოიძე** ვახტანგ ალექსის-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**თევზაძე** გურამ ბენიამინის-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კაკაბაძე** ზურაბ მეთოდეს-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

**ლუტიძე** ბიძინა ივანეს-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ქვაჩახია** ვენორ მიხეილის-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ხიდაშელი** შალვა ვასილის-ძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.



სსრ კავშირის სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელის დაბადებიდან 80 წლისთავი

# ქართული კინოს რაინდი

[illegible] თან თვითმოქმედი წრე არსებობდა, რომელიც სასწავლებელში კონცერტებსა და წარმოდგენებს მართავდა ხოლმე. ამ წრეში ყველაზე ნიჭიერი მსახიობი, კარგი დეკლამატორი მიხეილი გახლდათ. როდესაც დრო დადგა, რომ მიხეილს თავისი თავისათვის უნდა „ეპატრონა", მან ზუბალაშვილის სახლთან არსებულ ქართულ სახალხო თეატრს მიაშურა და თეატრის დასში ჩაეწერა.

სცენაზე მუშაობის პერიოდში ჭიაურელი უახლოვდება ქართული ფერწერის დიდ ოსტატებს. მას კარგად ახსოვს ნიკო ფიროსმანაშვილი, უმეგობრდება ლადო გუდიაშვილს, შალვა ქიქოძეს, ელენე ახვლედიანს, შალვა მამალაძეს და ბევრ სხვა ქართველ ახალგაზრდა მხატვარს, რომლებიც შემდგომ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მხატვართა სიას შეავსებენ. მათთან დაახლოება შემთხვევითი როდია. მიხეილ ჭიაურელი ხომ შესანიშნავი კარიკატურისტია. მისი კარიკატურები ხშირად იბეჭდება „ეშმაკის მათრახში" და „სახალხო ფურცლის" გვერდებზე. ჭეშმარიტი ხელოვნების სხვა მონაცემებთან ერთად მიხეილს ლამაზი ტემბრის ტენორი აქვს, საოცრად მუსიკალური და პლასტიკურია, არავია ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ის ოპერის მომღერალი გახდება, იტალიაში წავა და იქ საჭირო ცოდნას შეიძენს. მაგრამ რა ქნას მიხეილმა, თუ მას ქანდაკებაც იტაცებს, თუ მას მიქელანჯელოსა და როდენის უკვდავი ქმნილებები მოსვენებას არ აძლევენ. როდესაც პარიზიდან ახლად დაბრუნებულმა ნიკო ნიკოლაძემ მიხეილის ნამუშევრები ნახა, გაოცდა, — შენ მოქანდაკე უნდა გახდე, — ეუბნებოდა ნიკოლაძე ჭიაურელს.

მიხეილ ჭიაურელი მართლაც, გაემგზავრა უცხოეთში, მაგრამ არა იტალიაში, არამედ გერმანიაში, დრეზდენში, იგი ორი წლით გაგზავნა განათლების კომისარიატმა. ჭიაურელი მოქანდაკე უნდა გამხდარიყო, მან საბოლოო მიზნად ხელოვნების ეს გზა აირჩია. ორი წლის შემდეგ მიხეილ ჭიაურელი საქართველოში დაბრუნდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე საქართველოს რევკომმა მიაქცია ყურადღება კინოს და ის თავის მზრუნველობის საგნად გაიხადა. საქართველოს განათლების კომისარიატთან შეიქმნა კინოგანყოფილება, რომელსაც უნდა ეზრუნა მხატვრული ფილმის დადგმაზე. საქართველოში იმხანად იმყოფებოდა ცნობილი კინორეჟისორი ივანე პერესტიანი. შალვა დადიანის მიერ დაწერილი სცენარი „არსენა ჯორჯიაშვილი" დასადგმელად მიანდეს მას. კინოგანყოფილებამ ოპერატორად ალექსანდრე დიღმელი (დიღმელოვი) დანიშნა. ივანე პერესტიანმა მთავარი როლის შემსრულებლად მიხეილ ჭიაურელი მიიწვია.

ფილმმა „არსენა ჯორჯიაშვილმა" ყველა იმედს გადააჭარბა — ეს იყო შემოქმედი კოლექტივის დიდი გამარჯვება.

„არსენა ჯორჯიაშვილის" შემდეგ მიხეილ ჭიაურელმა ითამაშა ბონდოს როლი რეჟისორ ამო ბეკ-ნაზაროვის ფილმში „ნათელა" და შემდეგ ალექსანდრე წუწუნავას ფილმ „ხანუმაში", სადაც მან საქოს როლი შეასრულა. ორივე ფილმი კარგად მიიღო საზოგადოებრიობამ.

კოტე მარჯანიშვილმა და ახმეტელმა ქართულ თეატრს ახალი სული ჩაჰბერეს. მხატვრებმა დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა, ელენე ახვლედიანმა, ირაკლი გამრეკელმა, პეტრე ოცხელმა შექმნეს თავიანთი ღრმად ორიგინალური ტილოები. ეკრანებზე გამოდის ეიზენშტეინის, კულეშოვის, დოვჟენკოს, შენგელაიას ფილმები, ასეთ შემოქმედებითად დაძაბულ ვითარებაში არჩევანისათვის მიხეილს დიდი დრო აღარ რჩება. გავლილია ცხოვრების ოცდაათ წელზე მეტი — საჭიროა გადაწყვეტა მიზნის მიღწევისათვის, ხელოვნებაში საბოლოო გზის ამორჩევა.

და მიხეილ ჭიაურელი ერთგვარ კომპრომისზე მიდის. ის რეჟისორ ეფიმ ძიგანთან ერთად 1928 წელს დგამს ფილმს „პირველი კორნეტი სტრეშნევი". უკვე ამ ფილმზე მუშაობის პროცესში ვლინდება მიხეილ ჭიაურელის ის უპირატესობა- [illegible] რეჟისორი კარგად [illegible]ბის, მხატვრისა და [illegible] პროფესიას.

ფილმი ნათლად მეტყველებს იმ ენთუზიაზმზე, რომელიც ახასიათებდა პირველ ხუთწლედს. რეჟისორი არ უშინდება მკაცრად გააკრიტიკოს ჩვენი ცხოვრების მრუდე მხარეები, მაგრამ ამას აკეთებს საბჭოთა საზოგადოებისადმი სიყვარულით, უკეთესი მომავლის რწმენით.

„უკანასკნელი მასკარადის" შემდეგ მიხეილი სანდრო შანშიაშვილთან ერთად წერს სცენარს ლეგენდარულ სახალხო გმირზე არსენაზე. ფილმ „არსენაში" მიხეილ ჭიაურელი უკვე მთელი თავისი შესაძლებლობით ავლენს თავის შემოქმედებით ძალას. თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, ხელოვნების ყველა ეს დარგი ეხმარება მას და იქმნება ეროვნული მონუმენტური ტილო. ის, რაც მიხეილ ჭიაურელს ძველ ტაო-კლარჯეთში უნახავს, რაც წინაპართა ფრესკებიდან გადმოუხატავს, რაც ბავშვობისას მშობლიურ სოფელ დიღომში განუცდია, ხალხის ჩვეულებებში, გლეხკაცის ხასიათში შეუნიშნავს. ეს ყველაფერი დიდი მხატვრის დახვეწილი გემოვნებით, მაღალი პროფესიონალური ოსტატობით გადავიდა ფილმში. „არსენაში" მონაწილეობას იღებდნენ ნატო ვაჩნაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, ივანე პერესტიანი (ამით ჭიაურელმა ერთგვარი ვალი გადაუხადა თავის კინომასწავლებელს), სენსაციად, თუ შეიძლება ითქვას, იქცა მაყურებლისათვის სრულიად უცნობი, უნივერსიტეტის სტუდენტის სპარტაკ ბაღაშვილის ეკრანზე გამოჩენა. სპარტაკ ბაღაშვილი კინოში მიხეილ ჭიაურელის აღმოჩენაა. „არსენაში" ჭიაურელი გვევლინება როგორც მასობრივი სცენების უბადლო ოსტატი. ფილმის მეორე პლანი ცოცხალი, შთამბეჭდავი, დინამიურია, თვითეული სახე მეხსიერებაში რჩება. ხალხის მწუხარება, გაჭირვება, სიხარული, ოსტატის თვალით ცხოვრებაში დანახული, რეჟისორული ხელოვნების მაღალი დონით არის ეკრანზე გადატანილი.

და მიუხედავად ხანდაზმულობისა (ფილმი ეკრანზე 1937 წელს გამოვიდა) „არსენა" დღესაც დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. საბჭოთა კინემატოგრაფიას აქვს საუკეთესო ფილმების ოქროს ფონდი. „არსენა" ამ ოქროს ფონდს მიეკუთვნება. გამოჩენილი რეჟისორი სერგეი ეიზენშტეინი ამბობდა: — ჭიაურელი უპირველეს ყოვლისა გიყვარს. შემდეგ ფიქრობ იმაზე, რომ იგი კარგი ხელოვანია, შესანიშნავი ოსტატია, იღებს კარგ ფილმებს, გონებამახვილი ადამიანია და ასე შემდგომ, მაგრამ იგი უპირველეს ყოვლისა გიყვარს. რისთვის? ნამდვილად იმისათვის, რომ მის ჩვევებსა და საქციელში, სიმღერებში, მის ნაამბობში, ჩანაფიქრში, მასთან საუბარში ცხოველმყოფელად, გატაცებით და მხიარულად ჟღერს საქართველოს შთაგონება, თბილისის კოლორიტი და ბუნება, მთიები და მკაცრი კავკასიონი. სწორედ ამით არის გამსჭვალული მისი ფილმები და ამისათვის გიყვარს ჭიაურელიც და მისი სურათებიც.

ახლოვდებოდა დიდი ოქტომბრის ოცი წლისთავი. პირველი ორი ხუთწლედით წელგამართული საბჭოთა ქვეყანა ამ საზეიმო დღისათვის ემზადებოდა. კინოს მუშაკებს დაევალათ შეექმნათ ფილმები დიდ ლენინზე, ოქტომბრის რევოლუციის იმ დღეებზე, „რომლებმაც შესძრეს მთელი მსოფლიო". პარტიის და მთავრობის ეს საპასუხისმგებლო დავალება დაეკისრა საბჭოთა კავშირის ხუთ კინორეჟისორს. იმ ხუთეულში მიხეილ ჭიაურელიც შედიოდა.

ფილმ „დიადი განთიადით" მიხეილ ჭიაურელი იწყებს პოლიტიკური ფილმების დიდ ტილოებზე მუშაობას.

„ფიცი", „ბერლინის დაცემა", „დაუვიწყარი 1919 წელი" ეს ის ფილმებია, რომლებსაც ვერც ერთი ობიექტური კინოს ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

„...იმ დროს, როდესაც ფილმ „უდაბნოს მელაში" ჰოლივუდი ხოტბას ასხამს ნაცისტ გმირს რომელს, საბჭოთა კინოხელოვნების ოსტატები ფილმით „ბერლინის დაცემა" სალ შეფასებას აძლევენ ნაციზმის განადგურებას.

ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა საბჭოთა ქვეყანას. მიხეილ ჭიაურელმა მოსკოვშივე თავისი არჩევანი „გიორგი სააკაძეზე" შეაჩერა და რეჟისორმა ამ დროს, მიუხედავად ომით გამოწვეული დიდი სიძნელეებისა შეძლო 2-სერიიანი ფილმის გადაღება. „არსენას" შემდეგ „გიორგი სააკაძეში" მიხეილ ჭიაურელმა ნათლად გამოავლინა რეჟისორის დიდი ოსტატობა; მასობრივი სცენების მასშტაბურობა, დახვეწილი მიზანსცენები, თვითეული მოქმედის გამოკვეთილი სახე, გადასულ ტრადიციათა ეკრანზე გაცოცხლება (ყეენობა), ეპოქის საოცარი დრამატიზმის ზუსტად ასახვა.

1957 წელს მიხეილ ჭიაურელი დგამს ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით „ოთარაანთ ქვრივს", 1961 წელს „ამბავი ერთი ქალიშვილისა", 1964 წელს „გენერალი და ზიზილები", 1965 წელს „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ზემოთ ჩამოთვლილ ფილმებში, განსაკუთრებით „ოთარაანთ ქვრივსა" და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში" მიხეილ ჭიაურელი უბრუნდება თავისი შემოქმედების პირვანდელ ტრადიციებს.

უოლტ დისნეის ნახატი ფილმების დემონსტრაციის დროს მიხეილი სინანულით გამოთქვამდა, რომ მან, როგორც მხატვარმა და კარიკატურისტმა კინოხელოვნების ეს ჟანრი არ აირჩია. მხატვრის სურვილმა აქაც თავისი გაიტანა და 1967 წლიდან მიხეილ ჭიაურელი ნახატი ფილმების რეჟისორადაც გვევლინება. ხუთი წლის მანძილზე მან მოასწრო ხუთი ნახატი ფილმის გაკეთება.

ნახატი ფილმებისათვის მიხეილ ჭიაურელი ეძებს ქართულ ზღაპარსა და არაკებს, სადაც ყველაზე მეტად ჩანს ხალხის სიბრძნე და გონებამახვილობა.

მიხეილ ჭიაურელის ფილმებს მიკუთვნებული აქვთ საერთაშორისო ფესტივალების ჯილდო და პრემიები. 1947 წელს მან მიიღო ვენეციის ფესტივალის ოქროს მედალი, 1950-1952 წლებში კარლოვი ვარის ფესტივალის დიდი პრიზები, 1958 წ. პარიზში სურათ „ოთარაანთ ქვრივს" მიენიჭა საგანგებო პრემია. მიხეილ ჭიაურელი ხუთგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, არის საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, დაჯილდოებულია ორი ლენინის და ორი შრომის წითელი დროშის ორდენებით. ის ჩეხოსლოვაკიის თეთრი ლომის კავალერია, დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მედლებით. მ. ჭიაურელი იყო საბჭოთა კავშირის ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. თბილისში მისი ინიციატივით შეიქმნა მუსიკალური კომედიის თეატრი, მოსკოვში ყოფნის დროს ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას კინემატოგრაფიის უმაღლეს სასწავლებელში. მისი მოწაფეები დღეს ნაყოფიერად მუშაობენ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის კინოსტუდიებში.

მიხეილ ჭიაურელი წლების მანძილზე იყო წევრი სახელმწიფო პრემიების მინიჭების საკავშირო კომიტეტისა, წევრი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის კომიტეტისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული საბჭოთა კინოს განვითარების ყველა ეტაპზე. კინოში მოღვაწეობის პერიოდში მიხეილ ჭიაურელმა დადგა თექვსმეტი მხატვრული ფილმი, ამათში სამი ორ-ორ სერიიანი. მიხეილ ჭიაურელის, როგორც რეჟისორის ძლიერების ერთი თვისება მსახიობთან მუშაობაში ვლინდება. მიხეილ ჭიაურელის ფილმებში მუშაობა თეატრისა და კინოს მრავალ წამყვან მსახიობს ოცნებად ჰქონდა.

ათეული წლების მანძილზე მიხეილ ჭიაურელს ბევრი მეგობარი ჰყავდა და დღესაც ბევრი ჰყავს. მიხეილისა და ვერიკოს სტუმართმოყვარე ოჯახში მე შევხვედრივარ ნემიროვიჩ-დანჩენკოს, კაჩალოვს, ლეონიდოვს, თარხანოვს, ტარასოვას, ალექსანდრე ფადეევს, პასტერნაკს, პავლენკოს, ვიქტორ შკლოვსკის, სერგეი ტრეტიაკოვს და რომელი ერთი გამოჩენილი მოღვაწე დავასახელო. მიხეილის წიგნთსაცავში, მის პირად არქივში ბევრი საინტერესო წერილი ინახება, თაროებზე ბევრი წიგნია ავტორისეული წარწერით შემონახული მათ მზრუნველობით უვლის მიხეილი.

მიხეილ ჭიაურელმა თავისი მოღვაწეობით ბევრი შესძინა ქართულ კულტურას, ქართულ კინოხელოვნებას.

ოთხმოცი წლის მიხეილ ჭიაურელი ჯერ კიდევ ჯანით სავსეა — მომავლისათვის მას ბევრი შემოქმედებითი მიზანი დაუსახავს. რამდენიმე კვირის წინათ იგი დიდი აღფრთოვანებით ამბობდა თუ როგორ აპირებს გადაიღოს სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირზე კიკვიძეზე დიდი ფილმი... ვუსურვებ მიხეილს კეთილშობილური განზრახვა სისრულეში მოეყვანოს.

**სიკო დოლიძე,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

## ხვალ რუსთაველის თეატრში

ხვალ, 4 მარტს, საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოს აწყობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი და კინოსტუდია „ქართული ფილმი".

## თემურ ვანაჩა პიონერებთან



გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრს თემურ ვანაჩას წელს 107 წელი შეუსრულდა. ეს — კოლმეურნეობის ცოცხალი ისტორიაა. აი რატომ სთხოვენ მას ასე ხშირად სოფლის სკოლის მოსწავლეები ამბის მოყოლას საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნაზე, ზრდასა და მის მტკიცე ნაბიჯებზე.

ვეღარ იცნობთ სოფელს, მდიდარი გახდა კოლმეურნეობა. ხუთწლედის მარტო სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 4.213 ტონა ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.539 ტონისა და გეგმით ნავარაუდევზე 104 ტონით მეტი — 344 ტონა შესანიშნავი სამსუნის თამბაქო. ქვეყანამ დიდი რაოდენობით მიიღო ზეგეგმითი რძე, ხორცი, აბრეშუმის პარკი. ყოველივე ამან გაამდიდრა კოლმეურნეების ოჯახები.

გასული წლის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლენინური კომკავშირის წითელი დროშით დაჯილდოვდა.

სურათზე: სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის უხუცესი თემურ ვანაჩა პიონერებთან საუბრისას.

ფ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# მზიური ქალაქი

შავი ზღვის პირას, მიწის ვიწრო ზოლზე, რომელიც ლაჟვარდოვან ზღვასა და ზურმუხტოვან მთებს შორის გადაჭიმულა, აღმართულა ჯანმრთელობის ქათქათა სასახლეები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ტურბაზები. ეს არის გაგრა, სადაც წლის ყოველ დროს მუდამ ბევრი დამსვენებელია. მარტო შარშან კურორტსა და მის თვალწარმტაც მიდამოებში იყო ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. განუზომლად გარდაიქმნა გაგრა: აშენდა ჯანმრთელობის ახალი კერები: პანსიონატები, ტურბაზები, შექმნილია ყველა პირობა სამკურნალოდ და დასასვენებლად. სამიოდე წლის წინათ აშენდა ზღვის ნაპირას სანატორიუმ „კავკასიონის" მზიანი სართულები. აქ მეტად ეფექტიანად მკურნალობენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემას.

უახლოეს წლებში კურორტზე აშენდება კიდევ ერთი ჯანმრთელობის კერა, რომელიც ყველაზე დიდი იქნება გაგრაში: სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს „ენერგეტიკოსის" გამაჯანსაღებელი ბაზის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ახალ თექვსმეტსართულიან საძილე კორპუსს. გვერდით, სამსართულიან შენობაში განლაგდება კვების ბლოკი და კინო-საკონცერტო დარბაზი. აქ ჯანმრთელობას გაიკაჟებენ ქვეყნის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოსული ენერგეტიკოსები.

გაგრის კურორტის კლიმატურიდან კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტად გადაქცევა მტკიცე საფუძველზე დადგა ოთხ წელზე ოდნავ მეტი ხნის წინათ, როცა ქალაქის გარეუბანში გოგირდწყალბადით, აზოტით, კაჟბადით, რადონით, მდიდარი თერმული წყაროების ბაზაზე გაიხსნა წყალსამკურნალო. ოცდახუთი ათასზე მეტმა ავადმყოფმა იმკურნალა აქ და განიკურნა ბევრი სენისაგან. მასთან არსებული წყალსამკურნალო და პოლიკლინიკა ემსახურებიან არა მარტო გაგრის კერებს, არამედ მეზობელ ბიჭვინთასაც. ახლა გადაწყდა შეიქმნას კლიმატურ-ბალნეოლოგიური ხასიათის სტაციონარული კლინიკა. მშენებლებმა უკვე დაიწყეს მისი აგება. კურორტოლოგი ექიმები, რომლებიც თანამედროვე მედიცინის მიღწევებს სწავლობენ, ამუშავებენ მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემებს, რომელთა დანერგვა და გამოყენება აუმჯობესებს მკურნალობის ეფექტიანობას.

დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვამ კარგი სახელი მოუტანა სანატორიუმებს „შუქურას", „რიწას", „კავკასიონს", ჩელუსკინელთა სახელობის სანატორიუმსა და სხვებს.

ახლა ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ როგორც ეს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებშია დასახული, გაუმჯობესდეს ქვეყნის მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა. სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერა კვლავ იზრდება. კეთილმოწყობილ თანამგზავრ კურორტ ბიჭვინთასთან, ცივწყალასთან, გრებეშოკთან, ლესელიძესთან, განთიადთან ერთად თავის ჰორიზონტებს აფართოებს გაგრაც. მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის დიდი გაგრის ჯანმრთელობის კერები დამატებით 30 ათას დამსვენებელს მიიღებენ მოქმედთა გაფართოებისა და ახალი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების საექსპლოატაციოდ გადაცემის მეოხებით. ახალი კორპუსები უკვე მიიღეს ჯანმრთელობის კერებმა „კოლხეთმა", „კლდემ", მალე მწყობრში ჩადგება სანატორიუმ „თბილისის" ახალი კომფორტული კორპუსები გრებეშოკში, პროფკავშირული დასასვენებელი სახლისა — ლესელიძეში.

გაგრის ცენტრში უნდა აშენდეს 20-სართულიანი სასტუმრო რესტორნითურთ. საქართველოს სახმშენის დამპროექტებლებმა გათვალისწინეს „მინისსახურავიანი ზამთრის ზღვის" მშენებლობა, რომელსაც ხელოვნური პლაჟი ექნება. ახალი ტურისტული კომპლექსი და პანსიონატი 500 კაცისათვის, საკურორტო პოლიკლინიკა, ავტოტურისტთა ტექნიკური მომსახურების სადგური — ასეთია გაგრის, მზიური ქალაქის ახალშენებათა არასრული ნუსხა.

თ. ჯიბუტი,
(საქინფორმის კორ.).

ქ. გაგრა.

# ჯილდოები

### გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოებისა და წიგნის ვაჭრობის კოლექტივებს

გასული წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობებისა და საწარმოების კოლექტივებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და გადაჭარბებით გაანაღდეს საგეგმო დავალებანი. წიგნებისა და ბროშურების გამოშვების გეგმა შესრულებულია 110,7 პროცენტით, გამოცემათა ტირაჟებისა — 128,1 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციის დავალება — 103,6 პროცენტით. რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქწიგნმა" საქონელბრუნვის გეგმა შესრულა 115 პროცენტით.

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცეს 1973 წლის მეოთხე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი და დააჯილდოვეს:

**გამომცემლობებს შორის** — გამომცემლობა „მერანის" კოლექტივი, რომელსაც მიეკუთვნა პირველი ადგილი და პირველი ფულადი პრემია;

**პირველი ჯგუფის პოლიგრაფიულ საწარმოთა შორის:** თბილისის № 4 სტამბის კოლექტივი, რომელსაც მიენიჭა გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა სოხუმის № 8 სტამბის კოლექტივმა;

**მეორე ჯგუფის პოლიგრაფიულ საწარმოთა შორის:** პირველი ადგილი დაიკავა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა თბილისის № 11 სტამბის კოლექტივმა.

მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა ზესტაფონის რაიონული სტამბის კოლექტივმა, მესამე ადგილი და მესამე ფულადი პრემია — სამტრედიის რაიონული სტამბის კოლექტივმა;

**წიგნის სავაჭრო ორგანიზაციათა შორის შეჯიბრებაში** გაიმარჯვა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ზონალური სავაჭრო გაერთიანების კოლექტივმა. იგი დაჯილდოვდა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით. მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა „საქწიგნის" ახალციხის წიგნის მაღაზიის კოლექტივმა.

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს თბილისის № 12 სტამბის, გულრიფშის რაიონული, ქიათურის საქალაქო სტამბებისა და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

# ახალი დადგმა

ქუთაისი. (საქ. კორ.). მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი". სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. მეღრელიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები მ. გელაშვილი, თ. ღვინიაშვილი, კ. აბესაძე, ვ. გვენცაძე, მ. სვანიძე, მსახიობები ლ. ვაშაკიძე, ე. სვანიძე, ნ. თოდაძე, მ. ჩიქოვანი და სხვ.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. მაცხონაშვილმა, მხატვარია ჯ. ფაჩუაშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის გ. პაატაშვილს.

□

# უხვი ნადავლი

ბათუმი. (საქ. კორ.). თევზჭერის აჭარის სამმართველოში ყოველდღიურად რამდენიმე სასიხარულო რადიოგრამა მოდის, სარეწად გასულ სეინერებს. ბარაქიანი ნადავლი აქვთ ისინი ამავე დროს სამმართველოს აცნობებენ კოორდინატებს, რათა საწრაფოდ გავზავნონ თავისუფალი სეინერები იმ რაიონში, სადაც თევზთა მოხეტიალე გუნდებია შემჩნეული. ამჟამად შავ ზღვაზე სტავრიდისა და ხამსას სეზონია.

ერთ-ერთმა მოწინავე სეინერმა, რომლის კაპიტანბრიგადირია სერგო ქირია, იანვარ-თებერვალში შეასრულა მთელი წლის გეგმა — დაიჭირა 1300 ტონამდე თევზი.

□

# იხაროს ჭერმა

რუსთავი. (საქ. კორ.). ლენინის ქუჩაზე კიდევ ორი ახალი საცხოვრებელი სახლი გადაეცა საექსპლოატაციოდ. 150-ზე მეტმა მეტალურგმა, ქიმიკოსმა და მშენებელმა იზეიმა ახალ ბინებში შესახლება.

## ამინდი

დღეს, 3 მარტს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში, რიონის ხეობაში 12-18 მეტრი წამში, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 11-16, მთაში 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში მცირე თოვლი. ზოგან ნისლი, იქროლებს სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 1-6 გრადუსი სითბო, მთაში 4 გრადუსი ყინვა—1 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე თოვლი სუსტი ქარი, ტემპერატურა 4-6 გრადუსი სითბო.

ეს ნაწყვეტი, რომელიც ელისაბედის ეპოქის ინგლისელი დრამატურგის, დრამის დიდი თეორეტიკოსის, პოეტის ბენ ჯონსონის (1573-1637 წწ.) შოტლანდიაში მოგზაურობაზე მოგვითხრობს, ამოღებულია შოტლანდიელი პოეტის უილიამ დრამონდის (1585-1649 წწ.) წიგნიდან „საუბარი ბენ ჯონსონთან".

წიგნი 1619 წელს დაიწერა, მაგრამ პირველად 1824 წელს აღმოაჩინეს, ედინბურგის ბიბლიოთეკაში დრამონდის ჩანაწერებს რომ სწავლობდნენ.

□ □

ბენ ჯონსონი ჩემთან ორი კვირა იყო სტუმრად. შემდეგ იგი თავისი გაცვეთილი ფეხსაცმელებით ინგლისისაკენ ფეხით გაუდგა გზას. მართალია მისი სტუმრობის შემდეგ ჩემი საუკეთესო ფრანგული ღვინოების მარაგი ხუთი გალონით ნაკლები გახდა, მაგრამ სრულებით არ ვნანობ. მასთან შეხვედრა და საუბარი ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო.

ბენ ჯონსონი საკუთარ თავს ისეთ უდიდეს სწავლულად და მწერლად თვლის, რომლის მსგავსი ინგლისს არასდროს არ ყოლია, და ამას იმით ამტკიცებს, რომ სხვებს დამცინავად უყურებს.

თუმცა ერთი ადამიანი არსებობს, რომელიც უკვე გარდაცვლილია და რომლის სახელიც 20 წლის წინათ ამობრწყინდა. ის მის აღტაცებას და ამავე დროს შიშსაც იწვევდა. მე მხედველობაში უილიამ შექსპირი მყავს, რომელმაც თავისი კომედიებით და ტრაგედიებით სახელი გაითქვა.

ბენს ჭადრაკის თამაში ძალზე უყვარდა და საღამოების უმეტეს ნაწილს ჩვენ საჭადრაკო დაფასთან ვატარებდით.

ჩვეულებრივ ის მჯობნიდა. თამაშის დროს მის სულში თითქოს ეშმაკი იბუდებდა და ძალას მატებდა. გამძაფრებული იბრძოდა. ერთ საღამოს ვუთხარი: „გავიგე, რომ შექსპირი ჭადრაკს ბრწყინვალედ თამაშობდა". ბენი თავისი ციმციმა თვალებით ისევ შემომაჩერდა და მიპასუხა:

— მის თამაშში ბევრი რამ საქებარი იყო, მაგრამ ის ჩვენგან სამუდამოდ წავიდა. ახლა კი თქვენი სვლაა, მიპასუხეთ.

მეორე დღეს მან აღიარა, რომ შექსპირი მისი მასწავლებელი იყო. მაგრამ მის პიესებში მცირე რამ არის აღტაცების ღირსი, — დაუმატა მან. მივხვდი სხვა თემაზე სურდა საუბრის გადატანა. „ო! უილიამ შექსპირო, ჩემო სათაყვანო კერპო" ვთქვი მე.

ბენის გაცეცხლება მეწადა. ეს სიტყვები შექსპირისადმი მიძღვნილი მისი ერთ-ერთი ლექსიდან არის. იმ საღამოს შეიძლება ის სასაუბროდ იყო განწყობილი, მაგრამ ეს ვთქვი თუ არა, ხმა გაიკმინდა. მაგრამ ორი დღის შემდეგ, როცა მან ჩვეულებრივზე მეტი ღვინო დალია, მაშინ კი აიდგა ენა.

— ერთი მღვდელი იყო, რომელიც ლექსებს წერდა. ბოლოს და ბოლოს ის სახრჩობელაზე ჩამოაკონწიალეს. ლექსებისათვის კი არა, ამისთვის არ ღირდა, რადგანაც მის კალამს მხოლოდ ერთი კარგი ლექსი: „ალმოკიდებული ბავშვი" ეკუთვნის.

— საუტველი?

— ჰო! საუტველი.

იეზუიტთა ორდენის წევრი იყო. შექსპირმა მღვდრისაგან არა ერთხელ იხსნა. ჩიპსაიდში თავის სახლში მალავდა ხოლმე.

— განა მეგობარი იყო?

— არა, უფრო მეტოქეები იყვნენ, ვიდრე მეგობრები...

მსახიობები ამბობდნენ, შექსპირი უფრო იმისათვის ხვდება მას, რომ

შექსპირი და საუტველი მეტად საინტერესო თავშესაქცევი წყვილი იყო. პირველს არაფერი სწამდა, მეორეს — ყველაფერი, მათი ორთაბრძოლის ხშირი მაყურებლები კემპი და ბერბეჯი იყვნენ. კემპი ამბობდა, რომ შექსპირი ყოველთვის მზად იყო მღვდლის გასაბიაბრუებლად, მაგრამ ის არასდროს არ ბრაზდებოდა. ისინი ძალზე ხშირად თეატრ „როზაში" თამაშობდნენ.

ეს 1592 წელს მოხდა. მე მაშინ ფლანდრიაში ვცხოვრობდი და 20 წლის ბიჭი ვიყავი. ამბავი დიდი ხნის შემდეგ კემპმა მიამბო. როგორღაც საუტველმა შექსპირს უთხრა: „დიდი ხანია ჩემზე გასანთლული თოკი ტირის. გული მიგრძნობს დღეს თუ არა, ხვალ ციხეში ჩამსვამენ. მანამ კი შენთან ერთი პარტია მინდა ვითამაშო. მაგრამ იცოდე, ამჯერად შენს სულზე ვითამაშებთ".

„შენ არავინ არ ჩაგსვამს ციხეში — დაამშვიდა შექსპირმა, — თუ შენ ჩაგსვეს, ეს მათთვის წაგება იქნება. დედოფალს წამებული კათოლიკები სრულებით არ სჭირდება".

— ისინი ჯერ მე დამიჭერენ და შემდეგ წააგებენ. მაგრამ ერთი უმნიშვნელო მიზეზის გამო ეს ჩემთვის უკვე გვიან იქნება, რადგანაც თავი აღარ მექნება მხრებზე.

# შექსპირი საჭადრაკო დაფასთან

### წარსულის უცნობი ფურცლები

ჭადრაკი ეთამაშოსო.

საუტველი ძლიერი მოჭადრაკე იყო. მან ამ თამაშის საიდუმლოება კონტინენტზე შეისწავლა, როცა სასულიერო წოდების მისაღებად ემზადებოდა. ეს იმაზე ადრე იყო, ვიდრე შექსპირი სახელგანთქმული გახდებოდა.

შექსპირს ასეთი ნაწარმოებიც აქვს—„ვენერა და ადონისი". საუტველს ის არ მოსწონდა. ვილ, შენ წუთიერი წარმატებისათვის შენს უკვდავ სულს ჰყიდი. ეს წუთიერი წარმატება კი შენს სიკვდილთან ერთად გაქრება. მას უნდოდა, რომ შექსპირს ჰიმნები, სონეტები და კიდევ რაღაც ამის მსგავსი შეეთხზა. საუტველი თეატრში მიდიოდა ხოლმე, შექსპირი მას მსახიობთა თვალწინ ამასხარავებდა „თავადაზნაურობის დაცინვისათვის ჩვენ წყევლა-კრულვა ისედაც არ გვაკლია! — ამბობდა ის,. — რობერტი კი მაიძულებს ჩვენს წყეულ, სიცრუით აღსავსე საუკუნეში სიმართლე ვწერო".

შემდეგ მსახიობების — იმავე კემპისა და ბერბეჯის თანდასწრებით, მოილაპარაკეს, რომ თუ შექსპირი მოიგებს, ის თავის სურვილის მიხედვით უკარნახებს პირობას. თუ საუტველი, მაშინ შექსპირი ბოროტების კი არა, სიკეთის მადიდებელ სონეტებს დაწერს.

შექსპირმა ხიამოვნებით მიიღო ამ თავისებური ხუმრობის პირობები, მაგრამ უყურადღებოდ თამაშობდა, რისი მიზეზიც ღვინო იყო. საქმე რადგანაც საუტველის მოწოდებას სულთა ხსნას ეხებოდა, ის ძალზე მონდომებით თამაშობდა. აი კრიტიკული პოზიცია, რომელიც კემპმა ჩაიწერა.

ჯონსონმა დაფაზე ფიგურები გააწყო. თან იცინოდა, ისე როგორც მხოლოდ მას შეეძლო სიცილი.

— კემპმა თავის დღიურში ჩაწერა, რომ ამ პოზიციაში საუტველმა ხანგრძლივი ჩაფიქრების შემდეგ ითამაშა 1... e3, შექსპირმა უპასუხა 2.



ლe1 და პარტია ასე გაგრძელდა 2... ეf7 3. ეh2 ლe4 4. ეe2 ეf4.

აქ შექსპირმა შეამჩნია, რომ შემოთავაზებული პაიკის ძღვნად მიღება არ შეიძლება, ამიტომ მან 5. ეg2 ითამაშა. ის თამაშობდა, თან ჩვეულებისამებრ თავის კვიმატ ენას არ ასვენებდა.

— ახლა ქრისტიანობის ძალები შეჩერებულია. პაიკი, რომელიც წინ მიისწრაფვის, როგორც მე ვფიქრობ, სხვა არაფერია, თუ არა იეზუიტი. მას წინსვლა არ შეუძლია, რადგანაც ეპისკოპოსები და კარდინალები, რომლებიც მას არიან მოფარებულნი, საფრთხეში აღმოჩნდებიან.

საუტველი კვლავ ჩაფიქრდა და შემდეგ ისეთი სახით, რომელიც სრულებით არ ჰგავდა გულმოწყალე ქრისტიანის სახეს, პაიკი გასწია წინ 5. e2.

ვილ, სხვა არჩევანი არც შენ გაქვს და არც მე. უყუყმანოდ წინ უნდა გავსწიო, მხოლოდ წინ, — თქვა მან, წმინდა ეკლესიას ისეთი წამებული სჭირდება, რომელიც პარტიას საბოლოოდ მოიგებს.

მოღუშულმა შექსპირმა ეტლით პაიკი აიღო და პარტიაც მალე დამთავრდა. 6. ე:e2 ე:g4+ 7. მფf1 ლf3 8. ეf2 ლh1 9. მფe2 ეe4.

— შემდეგ რა ბედი ეწია შექსპირის სულს? — ვკითხე მე, რადგანაც ჯონსონი თავჩაქინდრული მდუმარედ იჯდა. მეგონა ჩაეძინა.

მან თავი წამოსწია და თავისი ერთადერთი თვალით შემომხედა.

— რა არის საერთოდ სული? კითხვაზე კითხვით მომმართა მან. ხილული ხომ არ არის ან ხელშესახები. თუ საქონელია, რომელიც მხოლოდ გასაყიდად არის ვარგისი?

— მართალია, — დავიწყე მე, — შექსპირმა თავისი პატივმოყვარეობის გამო სტრადფორდში ოჯახი რომ მიატოვა, მაგრამ შემდეგ ისევ დაუბრუნდა?

ამჯერად ჯონსონს თავი ხელებში ჩაერგო და პირდაპირ საჭადრაკო დაფაზე ეძინა.

თარგმნა
თამაზ კიკიანმა.

## ფლები და ფილმები





კადრები სსრ კავშირის სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელის ფილმებიდან „არსენა" და „გიორგი სააკაძე".



## ნანა ალექსანდრიას მეხუთე გამარჯვება

კისლოვოდსკი. 2 მარტი. (ტელეფონით, „კომუნისტის" სპეც. კორ. გ. მაჭავარიანი). ორდღიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ოთხთა მატჩ-ტურნირის მონაწილენი კვლავ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდებს.

თეთრებით მოთამაშე კონოპლიოვამ ალექსანდრიასთან პარტიაში დუნედ გაითამაშა ინგლისური დასაწყისი, რის გამო დაფაზე პოზიციური თანაფარდობა შეიქმნა. შემდგომში ალექსანდრიამ მეტოქეს ტაქტიკურ ბრძოლაში აჯობა, მოიგო ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე პაიკი. 30-ე სვლაზე ნანამ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

შულმა მედგრად შეუტია ლევიტინას პოზიციას, რომელიც შავებით კარგად იცავდა თავს. მაგრამ ლევიტინა სვლებზე მეტად ბევრს ფიქრობდა. ცაიტნოტში მან ვერ შეამჩნია მეტოქის მუქარა, რის შემდეგ დანებდა.

ასპარეზობის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. ლიდერს — ალექსანდრიას 9 შესაძლებლიდან 7 ქულა აქვს. ლევიტინამ და შულმა 5-5 ქულა მოაგროვეს, კონოპლიოვამ — 1.

3 მარტს ალექსანდრია თეთრებით ხვდება ლევიტინას.

## რამდენიმე სტრიქონით

□ კალათბურთი. გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. თბილისის „დინამო" კვლავ კიევში ასპარეზობდა, ამჯერად ადგილობრივ სკა-სთან. ჩვენი კალათბურთელები დამარცხდნენ — 81:86 (45:44). კალევის „ტარტუმ" წააგო მოსკოვის „დინამოსთან" — 79:83. აუტსაიდერების — კაუნასის „ჟალგირისისა" და მინსკის რტი-ს შეხვედრა დამთავრდა ლიტველ სპორტსმენთა გამარჯვებით — 113:88.

□ ჭიდაობა. ლენინგრადში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ივანე პოდდუბნის სახელობის პრიზზე, რომელშიც მონაწილეობენ 13 ქვეყნის ფალავნები. კარგად აიღეს სტარტი საბჭოთა მოჭიდავეებმა — ასტრახანელმა ვიაჩესლავ ნიმ წმინდად მოუგო ფინელ პეკსუ ხიელდას, ხოლო ლენინგრადელმა იური ნერობეევმა ასევე ბეჭებზე დასდო შვედი როლფ ანდერსონი.

□ მაგიდის ჩოგბურთი. ერევანში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობს ყველა უძლიერესი ოსტატი. კარგად დაიწყეს შეჯიბრება მოსკოველებმა ს. გომოზკოვმა და ვ. ოსტროვსკიმ, რიგელმა უ. ეგლიტისმა, ოდესელმა რ. ერენტიუკმა, რომლებსაც ოთხ-ოთხი გამარჯვება აქვთ. სენსაციური იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელის, ბათუმელი სარქის სარხოიანის დამარცხება მინსკელ ა. პეტკევიჩთან. ქალთა შორის დაუმარცხებლად იბრძვიან ვ. ვოლკოვა (ვოროშილოვგრადი), ე. ანტონიანი (ერევანი), გ. ერიომენკო და თ. ჩიგვინცევა (ორივე — ოდესა). ჩემპიონები გამოვლინდებიან 5 მარტს.

□ ხელბურთი. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებში დაამარცხა აშშ-სა — 40:11 (16:6) და იაპონიის გუნდები — 25:18 (13:7). მსოფლიოს საუკეთესო 16 გუნდი იბრძვის უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად გდრ-ის სხვადასხვა ქალაქში. საბჭოთა კავშირის, აშშ-სა და იაპონიის გუნდებთან ერთად ერთ-ერთ ჯგუფში გამოდიან მასპინძლებიც — გდრ-ის ხელბურთელები. სწორედ მათთან ასპარეზობს დღეს ბერლინში ჩვენი ნაკრები.

□ მძლეოსნობა. მოსკოვში, ძმები ზნამენსკების მანეჟში გამართულ სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრებთა მატჩში კვლავ კარგად იასპარეზა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა. მან პირველობა მოიპოვა სამმაგ ხტომაში (16 მეტრი და 73 სანტიმეტრი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 158:124.

## ტელევიზია

### 3 მარტი

#### პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 —ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მოსწავლეთათვის. „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა", 11.45 — კინონარკვევი, 12.10 — „ქართული პანტომიმა" (განმეორებით), 13.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.30 — „კინოაფიშა", 15.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.00 — „საჭადრაკო სკოლა", 16.25 — „ჯადოსნური ეკრანი", 16.45 — საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — „დიდება შრომას", 17.40 — კინონარკვევი, 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მას ლუწო ჰქვია (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „როდის გვექნება ზუგდიდური ფაიფური", 19.20 — „პოეტი სტუდიაში" — ბ. გურგულია, 19.45 — სატელევიზიო ფილმების ფესტივალის დახურვა, 20.45 — „მღერიან დები იშხნელები", 21.15 —„ მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — პოლონური ესტრადის კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე" (I სერია).

#### მეორე პროგრამით

19.05 — სატელევიზიო დადგმა „მოსაწყენი ამბავი", 20.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „მოთამაშე", 22.10 — კონცერტი.

## რადიო

### 4 მარტი

#### პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20—ტანვარჯიში, 08.00—გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 10.00— ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — საუბარი „საპატენტო-სალიცენზიო სამსახური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი", 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.30 — ქართული პოპულარული რომანსები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ინსტრუმენტულ ანსამბლ „როკოკოს" კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ივანნამ რა ჰქმნა?", 18.05 — რ. ლაღიძე, ა. ჩიმაკაძე, კამერული ნაწარმოებები, 18.45 — უკრავს ორკესტრი „ცისფერი ეკრანი", 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი, საუბარი „იმპერიალიზმის ლენინური თეორია და თანამედროვე კაპიტალიზმი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — ლ. გოთუა. „ნისლი ნახატარის ტყეში". რადიოდადგმა, 23.30 — დ. არაყიშვილი, ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრები

### 3 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური (ვაჟა-ფშაველას პროსპ. № 43) — **კლასიკური ბალეტები** (დღისით), **დაისი** (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რაიკომის მდივანი** (დღისით), **უვარუვარე** (საღამოს პრემიერა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მოსამართლე** (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მხიარული მელოდიები** (დღისით); **ქურქაძ კორწილი** (საღამოს).

## ბარათი ლონდონიდან

### ქართველი ეტიუდისტი — საერთაშორისო ლაურეატი

ზესტაფონი. („კომუნისტის" საკ. კორ.). ქარხანა „საქკაბელის" საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსმა, ინჟინერმა და საჭადრაკო კომპოზიტორმა ჯემალ მახათაძემ წარმატება მოიპოვა შარშან ინგლისში საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში გამართულ საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც მან მთავარ პრიზთან ერთად დაიმსახურა საგანგებო ჯილდოც ეტიუდის ფინალისათვის.

ქართველი ეტიუდისტის ნაწარმოებები დაიბეჭდა ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში. ჯ. მახათაძემ დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით ახლახან ლონდონიდან მიიღო მისალოცი ბარათი, რომელშიც იუწყებიან მისთვის ჯილდოების გამოგზავნის შესახებაც.

აღსანიშნავია, რომ ავტორს ახალი ორიგინალური ეტიუდი აქვს გაგზავნილი ლონდონის ჟურნალ „ნიუსტეიტსმენში" მორიგი კონკურსისათვის.

□

## სტუდენტთა უპირატესობით

დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი კალათბურთში, რომელიც საბჭოთა საქართველოს 53-ე წლისთავს მიეძღვნა. ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა, ხოლო ვაჟებში — სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა. ოთხ-ოთხი საუკეთესო კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების ტურნირში.

სპორტი

ფეხბურთის კალეიდოსკოპი

## რას იტყვიან ვარსკვლავები?

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ორი ცნობილი ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი და ვოლფგანგ ოვერატი მალე მოედანზე გამოვლენ ახალი ბუცებით, რომლითაც თითოეული იწონის მხოლოდ 125 გრამს, რაც ჩვეულებრივ ბუცზე 28 გრამით ნაკლებია.

წონის შემცირებას მიაღწიეს პლასტიკის გამოყენების შედეგად. ახლა ბუცის „კბილის" შეცვლა გაცილებით უფრო სწრაფად შეიძლება და თამაშიც ბევრად გააადვილდებაო ამბობენ ისინი, ვინც რეკლამას უწევენ ამ საქონელს. სხვაგვარად ფიქრობენ ფეხბურთელები. ისინი ამბობენ: „ჯერ ვნახოთ, რას იტყვიან ჩვენი „ვარსკვლავები", მერე კი ჩვენც გადავწყვეტთ, ღირს თუ არაო ახალი ბუცების შეძენა მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ".

## იქნებ კრუიფმა იხსნას...

მას შემდეგ რაც იუგოსლავიის გუნდმა ამას წინათ დაამარცხა ესპანეთის ნაკრები, ფეხბურთის პოპულარობა ესპანეთში კატასტროფულად ეცემა. ამიტომ სპორტის ბიზნესმენებმა გადაწყვიტეს „მოიშველიონ" ჰოლანდიელი ფორვარდი იოჰან კრუიფი, რომელიც ახლა დიდი წარმატებით თამაშობს „ბარსელონის" გუნდში. ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს არაერთხელ გადაურჩენია მოედანზე თავისი ახალი გუნდი (სამშობლოში კრუიფი „აიაქსში" თამაშობდა) და ახლა გადაწყვიტეს, რომ სწორედ მან უნდა გაზარდოს მატჩების მაყურებელთა რიცხვი. უკეთუ სი ვერაფერი მოიფიქრეს და დაიწყეს ბილეთების გაყიდვა „დატვირთვით". თუ გინდათ ნახოთ თამაში კრუიფის მონაწილეობით, უნდა იყიდოთ ბილეთი კიდევ ერთ რიგით მატჩზე.. (სკდესის კორ.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, კომპოზიტორთა კავშირი, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე მუსიკალური სასწავლებელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი
ვალერიან გერასიმეს-ძე ცაგარეიშვილი

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის წევრი, საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე
ნაზიდა ვასილის-ძე ხომასურიძე

კომუნისტი — ჩვენი მისამართი და ტელეფონები